ეროვნული
ბიბლიოთეკა



საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

№ X, XI

ოქტომბერი და ნოემბერი

1908

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა"

I სხვა და სხვა ხალხის სკოლები. სურათი 2
II აკაკი წერეთლის იუბილეი, ეკ. გასაშვილისა 3
III ყმაწვილების მიმართ 5
IV ჩიტი გალიაში, აკაკისა 6
V გაზაფხული, აკაკისა 7
VI უდარდელი ცხოვრება (აზრი რუსულიდან) 9
VII მომაკვდავი ფინიას ნაამბობი, ამბავი ან. წერ. თ. ლისა 10
VIII გამარჯვებული სპილო (ჟურნალიდან) 13
IX ნათელა, ზღაპარი გერმანულით, ალ. მიქაბერიძისა 15
X რიკკი-ტიკკი-ტავი, კიპლინგის მოთხრობა, თარგმანი ელ. წერეთლისა 20
XI აკაკი წერეთლის 50 წლის იუბილეი, ს. ბ. . . . 35
XII საჩინო გენძეხაძე, მოთხრობა ივ. გომართელისა . . . 45
XIII ყვავი, თქმულობა (შემდეგი იქნება) თარგ. ეკ. მ—სა 56
XIV „კიბუნ-დეიზინ" მოთხრობა იაპონიის განთქმულ მწერლისა, ჯენზეი მურაისა. (გაგრძელება) ალ. ნათაძისა 6.
XV ცოდნის გამარჯვება (შემდეგი) ა. ფ—სი . . . 70
XVI ზღვის და ხმელეთის გრიგალი *** 77
XVII ძვირფას აკაკის, ლექსი შიო მღვიმელისა 80
XVIII ბუნების ლექსიკონი, ალ. ალხაზიშვილისა 57

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. ფ.

№ X, XI

ოქტომბერი და ნოემბერი, 1908

ფელიეტონი მეცხრამეტე

თ ფ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, რუსსკაია ქუჩა, № 3.
1908

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სხვა და სხვა ხალხის სკოლები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთლის იუბილეი!

ეს სიტყვები ამოიკითხა პატარა ვანომ გაზეთის პირველ გვერდზედ დიდის ასოებით აწეობილი. სახლშიაც ბევრჯელ მოჰკრა ყური ამ იუბილეიზედ ლაპარაკს, სკოლაშიაც...

— რა არის იუბილეი და მერე აკაკის იუბილეი? შეეკითხა ის დედას.

— იუბილეი?! შვილო, ისეთი დღესასწაულია, ისეთი არა ჩვეულებრივი დიდი დღესასწაულია, რომელსაც მადლიერი ერი გადაუხდის ხოლმე მსოლოდ რჩეულ თავის შვილებს, იმისთანა შვილებს, რომელთა ღვაწლი თავის ქვეყნის ბედნიერებისათვის შესანიშნავია რითამე.

„აკაკი წერეთელი კი მაგათ-მთავარია იმ ქართველთა საუკეთესო შვილთაგან, რომელნიც უკანასკნელ ორმოცდა ათი წლის განმავლობაში მხარში უდგნენ თავის დავრდომილ ქვეყანას და იმის ცხოვ-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს
სახელმწიფო
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების აღორძინებას ემსახურებოდნენ; იმის იმედებს მომავალზედ ფრთებს ასხავდნენ და თავისის შრომით, თავისის ბრწყინვალე ნიჭით უმტკიცებდნენ ქვეყანას, რომ საქართველო „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“ და ამ გაღვიძებისთვის ნიადაგს უმზადებდნენ.

„აკაკი წერეთელმა დასწერა რამდენიმე ტომი ბრწყინვალე მუსიკალური ენით ჰოემა, დრამა და უთვალავი წვრილი ლექსი დღიურ ჭირ-ვარამზედ. აკაკის ლექსები „სალამური“, „შიქასტა“, „მუშური“ და მრავალი სხვა ამ გვარი თვით უმაღლესი მუსიკაა თავისის გარმონიით.

„შენ წაგიყვან იმ იუბილეიზედ და შენის თვალით დაინახავ თუ ქვეყანამ როგორ გადუხადა მადლობა თავის მხცოვან მოამაგეს, შენის თვალით დაინახავ იმ თაყვანებას და სიყვარულს, რომელსაც ხალხი ფიანდარად უშლის გენიოს ჰოეტს აკაკის.

ბედნიერია აკაკი, რომ ამ დიად დღესასწაულს შეეგებება! ბედნიერია ის ერიც, ვისაც აკაკისთანანი გამოეზრდებიან და მათი დაფასება და იუბილეის გადახდის შეგნებაც საჭიროდ დაუნახავს.

გაუმარჯოს აკაკის! გაუმარჯოს ქართველ ერს და დღეგრძელ ჰყოს ერთიც და მეორეც ერთმანეთის სასახელოდ და სადიდებელად.

ეკ. გაბაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲩᲛᲐᲬᲕᲘᲚᲔᲑᲝ! თითქმის ᲣᲕᲔᲚᲐ თქვენგანს, სანამ დაიწყებდით კითხვას, ᲗᲔᲕᲘᲠᲐᲗ დაგისწავლიათ ჩვენი მწერლების ლექსები და მეტადრე აკაკისა. მაგალითად „ᲭᲠᲔᲚᲘ ᲕᲔᲕᲔᲚᲐ“, „ᲩᲘᲢᲘ ᲒᲐᲚᲘᲐᲨᲘ“ „ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ“ და სხვა.

სწორეთ ორმოცდა ათი წელიწადი შესრულდა მას აქეთ რაც ეს სახელოვანი პოეტი სწერს თავის სალხის ჩასაგონებლათ და მეტადრე თქვენთვის, უმაწვილებო, რომ თქვენ პატარა გულში ჩაინერგოს სათნოება, კაცისადმი სიყვარული და მამულისადმი თაყვანისცემა. აქ მოგვაქვს თქვენ მოსაგონებლათ ორი იმ ლექსთაგანი, რომელიც დაწერილია ამ ოცი წლის წინეთ ჩვენი ჟურნალისთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩიტი გალიაში.

პატარა ჩიტი ჩიოდა:
რათა ვარ დამწყვდეულიო?
გალიაში ვარ ტყვე-ქმნილი,
მწყდება და მტკივა გულიო:

—

ჩემ ტოლ-ამხანაგ ჩიტუნებს
მოსწყლიათ გაზაფხულიო!...
მათთვის გაშლილა ბუნება
ფერად-ფერადათ მკულიო.

—

დაჰფრენენ, დაჭიკჭიკობენ,
შვება ეძლევათ სრულიო
და მე კი უველას ამაებს
ვარ ობლად მოკლებულიო.

—

რათ მინდა ტუსაღს ალერსი?
ეს მოყვრობაა მტრულიო
და ვინც ამ დღეში ჩამაგდო,
ღვთისაგან იოს კრულიო.

აკაკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გაზაფხული.

იიპარება ზამთარი
ძალ-ღონე გამოელია,
და თვალს არიდებს გაზაფხულს!..
რა ცუდი მასპინძელია?!

—

კარის კაცებიც თან მიჰყავს:
ანთება, სურდო და ხველა:
„წინ წყალი, უკან მეწყერი!..
წყალმა წაიღოს სუყველა!..

—

მის ნაცვლათ ველით გაზაფხულს;
ქუქუნა მშვენიერია!...
იმისი ტანისამოსი
უცხო და მრავალ-ფერია!

—

წინ მოუძღვიან ჩიტები
მაურულით საამურითა.
ბულბული ჩანგით დასკდება
და შაშვი სალამურითა.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერცხალი მახარობელი
ჭიკჭიკით მოხავარდია,
და სუნნელების მბრკვეველად,
მზათ ზამბახ, ია, ვარდია.

—

ქვეყანა მაჯას გაიხსნის,
გული დაუწყებს ძგერასა
და საიდუმლო სიმებით
იწყებს ბუნება ქნერასა!

აკაკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უდარდელი ცხოვრება.

ერთი თხილი ხეზე ჩამოკონწიალებული ძალიან მოწყენილათ გრძნობდა თავს თავის მწვანე ბუდეში. მასთან მიცოცდა ერთი ბებერი ჭია.

— შემიშვი შენ ბუდეში, არას დაგიშავებ, ჩემთვის მოვიკალათებ და დაბერებულ ძვლებს დავასვენებ, ტკბილათ და თანხმობით ვიცხოვროთ. მოგიყვები ხოლმე ზღაპრებს, გიმღერებ. მოწყენილი აღარ იქნები და უდარდელათ ვიცხოვრებთ.

— არ შეუშვა ეგ მაწანწალა, — უთხრეს მისმა მოძმეებმა, — მაგისაგან ხეირი არ იქნება, სიკეთეს არას დაგაყრის.

— კარგი, კარგი, თქვენ თქვენი საქმე იცით, მე ჩემი...

თხილმა ჭია შეუშვა თავის ბუდეში. ჭიამ ნაჭუჭიც გასვრიტა, ჩაჯდა შიგ, თხილს გული გამოუჭამა და დაიწყო არხეინათ სეირნობა და თან დამღეროდა:

ვიცხოვროთ ასე მხიარულათ!
ვიცხოვროთ ასე უდარდელათ!

ცარიელი ნაჭუჭი ბანს აძლევდა. თვითონ ჭია მართლაც უდარდელათ ცხოვრობდა, მაგრამ ნაჭუჭის პატრონის ხსენება კი აღარსად იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მომაკვდავი ფინიას ნაამბობი.

ემი ამბავი!... ჩემი ამბავი გიამბოთ!.. თქვა წკმუტუნით ფინიამ, რომელიც ერთ ქუჩის კუნჭულში ეგდო. თავს ადგენ ამ უბნის დიდი ბანჯგვლიანი ძაღლი მურია, ერთი მონადირეს ევითელი მეძებარი და ერთიც მოხუცებულ მეზობლის ქალის ჰატარა გოშია.

„მე არ მახსოვს ჩემი დაბადება, — განაგრძო კვნესით ფინიამ,— გაგახსილე თვალები თუ არა, დავინახე, რომ ჩვენ ერთობ ბევრნი ვიყავით. დედა გვყალერსებოდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ეშინოდა სიმშილით არ გავწყვეტილიყავით. ხშირად გვესმოდა მეეზოვეს სიტყვები: რა არი ამ ოხრების ასე გაძრავლება. დამაცადეთ, მოგხვეტამთ ერთად და წყალში გადაგერით. მე საშინლათ მეშინოდა ამ მეეზოვესი და ვემალებოდი.

„ერთ დილით ჩვენ ქუჩაზე გაიარა ერთმა მორთულმა ქალმა, მე ქუჩის ჰირას დავცუცუნებდი, ეტყობა, ძალიან მოვეწონე, მოძალერსა, გულში ჩამიკრა და წამიყვანა თავისთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამის ოთახი ჰატარა იყო, მაგრამ კოხტათ
და მორთული, მაშინვე შევნიშნე მაგიდაზე ბლო-
ბური, რძე, შაქარი და ძეხვის ნაფცქვენები.
ეგირველია, მიამა, ნეტა იმ დღეს! ქალბატონმა
ანა, დამვარცხნა, ყელზე წითელი ლენტი შემაბა
ამ დღეს ისე გავძეხი, ისე გავძეხი, რომ ახლა
ბრძიალ მენატრება... როცა წავიდოდა სასე-
ოთ, თან მიყვავდი. მისი სტუმრები ყველანი მე-
ბოდენ, და რაგინდა რას არ მაჭმევდენ“... ფინია
და, ამის მოგონებაზე პირზე ნერწყვი მოსდიო-
„კარგა ხანს ვიყავი ასე ბედნიერი.—განაგრძო
ამ,—მალე ჩემ ქალბატონს მოვბეზრდი, აღარც
საჭლისთვის ზრუნავდა და აღარც მეალერსე-
ა. მართალია, არც სახლის ჰატრონს, მოხუცებულ
ს და არც ეზოს მდგმურებს არ უყვარდი, ხში-
დამიტატანებდენ, მაგრამ ამას ყურადღებას არ
ვდი და ჩემ თავს მაინც ბედნიერათ ვთვლიდი.
ერთ საღამოს ჩემ ქალბატონთან შემოვარდა გა-
ბებული სახლის ჰატრონი, ატუდა აურ-ზაური.
რთი კი ვწვდი ეუნთებში ამ მოხუცებულს და საჩ-
ოთ მივიმალე საწოლ ქვეშ. ჩემი ქალბატონი რომ
ტო დარჩა დაიწყო ტირილი, ბევრი იტირა...
ლაქუცებოდი და რითიც შემეძლო ნუგეშს ვცემ-
ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა და დავიძინეთ...
ა ადრიანათ ქალბატონმა სუყველა ბარგი ჩაა-
ა და თავის ნაცნობს გაატანა, შუადღისას

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითონაც სადღაც გაქრა... კვალი დაძეკარგა. მე ოთახიდან ფეხს არ ვიცვლიდი. მეეზოვემ გამ... მაგდო.... ეველა მიტატანებდა, ეველა მიწერებდ... მეტადრე სახლის პატრონი, ის გაიძახოდა: ქირ... არ მომცა და შენც აქ დაგტოვაო. ერთი შენღა მ... კლიხარ შესანახათო... რა ბევრი იეო ჩემთვის ერ... ძვალი... ერთი ბეწო ხორცის ნაგლეჯი...

„მაგრამ არც ჩვენი ეზოს მაღლებმა გამიტან... მოსვენებას არ მაძლევდენ და ასე ამბობდენ: ჩვ... მშიერები ვართ და შენ რაღა შემოგვეჩხირეო.

„მასუკან დავიწეე წანწალი, —განაგრძო ოხვრ... ფინიამ,—მეეზოვეების შიში გონებას მიკარგავდა, ... ვიდოდი თუ არა რომელიმე ეზოში, მესროდენ ქვ... ჯოხს... ხედავთ, ერთი ფეხი მოტეხილი მაქვს... ... ღარ გავუძელ და აი, ამ დღეში ჩავარდი. ნეტა ეეზო... რომ წეალში მიჰირებდა ჩაგდებას, მაშინ მომკვდ... ვიეავ... ჩემი ბედნიერება, ხედავთ, რა მოკლე იეო?...

ბანჯგვლიანი ეურია მწუხარებით დაჰეურებდა ... მაკვდავ ფინიას. გოშია ალერსით ულოკავდა დაკ... დილ ფეხს, მეებარმა მოურბეინა გამხმარი ბალ... მაგრამ ფინია სულს ღაფავდა და მისთვის არაფერ... ღარა იეო-რა საჭირო.

ან. წერეთელისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გამარჯვებული სპილო.

ნდოეთში ცხოვრობდა ერთი ასი წლის სპილო. სახელათ ერქვა სუფ.

ერთხელ ეს მოხუცებული სუფ ხხვა სპილოებთან ერთად და რამდენიმე ჯარის კაცების დახმარებით ეერთავდა გემს ბრინჯით სავსე ტომრებით.

ამ მუშაობას სელმძღვანელობდა მაიორი დელი, რომელსაც იკუთვნოდა ეს სპილოები. თითო თითოდ სპილოები უახლოვდებოდენ გემს და შიგ ისროდენ ბრინჯით სავსე ტომრებს. ცოტა მოშორებით იდგენ მაიორის ემაწვილები და მუშაობას უყურებდენ.

ერთბაშათ ერთმა სპილომ პირდაპირ მდინარეში დაიწყო ტომრების სროლა. ძალე ეველამ შეამჩნიეს რომ ეს სპილო გადაირია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგიჟებული სვილო მივარდა ემაწვილებს, რ
მელნიც თავიანთ მომვლელით შევარდენ სახლ
ახლა სვილო მივარდა ჯარის კაცებს და საქმე ცუ
დაბოლოვდებოდა, რომ მოხუცი სუფი არ მიშველ
და. მან რომ დაინახა გაგიჟებული სვილო, რ
ლიც ადამიანებს ეცემოდა—გადაელობა წინ და
რმოლა იმდენ ხანს, სანამ მტერი არ დაანარცხა.

საათ ნახევარი გაგრძელდა ამ ორი სვილ
ბრძოლა. სუფამ გაიმარჯვა, მაგრამ დიდხანს მო
და იარების მორჩენას. გადარეულმა სვილომ ეუ
დაუგლიჯა, თავი დაუბეჭა, ეშვი მოსტეხა. სამ
ეროთ სუფამ ხალხი გადაარჩინა და მას აქეთ
ლას საევარელი შეიქნა.

მოხუცი სუფ ისეთ ნაირათ შეეჩვია ემაწვილ
რომ მათ გამდლობას უწევდა, რამდენიმე საათობ
დაჭეავდა სასეირნოთ და მაიორი ხშირათ ამბობ
რომ მას უფრო ენდობა ვიდრე ინდოელ გამდელს.

სუფს ძალიან უყვარდა ემაწვილებთან დრო
ტარება, მეტადრე თევზაობა. ემაწვილი კავზე ჭ
ჩამოაცვავდა, სუფ დარბაისლათ ანკესს წყალში გ
ასროლა და როცა ბატარა ქალი ხსნიდა დაჭერ
ბაწაწკინტელა თევზებს, მაშინ სვილოს სიხარ
საშფლვარი არა ჰქონდა.

(ჟურავსკიდან)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნათელა

(ზღაპარი)

ომა ხუჭუჭა და ცქრიალა ნათელა ყველას გაგიჟებით უყვარდა. ჰატარა გოგონას თურაშაული ვაშლივით წითელი ლოყები ჰქონდა. ყველანი ამიტომ მას ლოყა წითელას ეძახოდენ. ნათელას სახლი სოფელზედ ცოტათი მოშორებით იდგა. ნათელა მიუხედავად ამ სიშორისა ყოველ დილით მსიარულათ სკოლაში გადაირბენდა. მართალია, ზამთრობით ეს მოგზაურობა ნათელას ძრიელ უმძიმდებოდა. მაგრამ ზაფხულობით კი მეტად სასიამოვნოთ რჩებოდა. გზაში ამ დროს ჩიტები საამურად ჭიკჭიკობდენ. ყვავილები მშვენიერად ყვაოდენ და ირგვლივ სასიამოვნო სურნელოვანობას ჰფენდნენ. მზე თბილად და ნათელად ანათებდა. ნათელა გზაზედ თვითოეულს ბუჩქს, თვითეულს ხის ძირს კარგად იცნობდა.

ერთ დილას ნათელამ დაინახა, რომ ჩიტს თხმელაზედ ბუდე გაეკეთებინა. ჰატარა გოგონამ, ჩიტი რომ არ დაეფრთხო, ბუდეს შორი ახლოს ჩაუარა. რამდენიმე დღის შემდეგ ჩიტმა ბუდეში ბარტყები გამოჩეკა. ახლად გამოჩეკილი ბარტყები თავის ჰაწია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისკარტებს ჰაერში მოხდენილად ატრიალებდენ. ერთ დილას ნათელამ დაინახა, რომ დედა ჩიტი თხმელის მახლობლად ხან იქით და ხან აქეთ აწედებოდა. ბატარა გოგონა შესდგა და გულმტკივნეულად ჰკითხა დედა ჩიტს: „ეგ რა მოგსვლია? რათა ხარ ესე შეშფოთებული?“

ჩიტმა მწუხარეთ უპასუხა: „ბორბოტმა ქარმა მძლავრად დაჰბერა და ჩემი ბარტყები სულ ერთიანად ბუდიდან გადმომიყარა. საცოდავნი ახლა ხმელს მიწაზედ ჰურიან და საბრალოდ ტირიან!“— „ნუ გეშინია, საბრალო ჩიტო, მე დაგეხმარები და გიშველი!“, უპასუხა ნათელამ და ამ სიტყვებთან ერთად მიწიდან აიყვანა საბრალო ბარტყები, წუნარად შეცოცდა თხმელაზედ და რბილს ბუდეში ჩასვა. დედა ჩიტის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ნათელა დაუყონებლივ თავის გზას გაუდგა, ასე რომ ჩიტმა მადლობის გადახდაც ვერ მოასწრო. შორს, შორს გაისმოდა დედა ჩიტის მხიარული ჭიკჭიკი. გახარებული ჩიტი ამ ჭიკჭიკით მადლობას სწირავდა ცქრიალა ნათელას ბარტყების გადარჩენისათვის.

სკოლისკენ მიმავალ გზის ნაპირას დაბურულ ნაძვნარის მახლობლად გაშენებული იყო მშვენიერი ხეხილის ბაღი. თვითოეული ხილის ხე მიმაგრებული იყო ძსხვილსა და გრძელს მარგილზედ, რომ ამნაირად ნაზი ხილის ხეები ქარს არ ჩამოეტეხვრია. ერთ დილით, როცა ბატარა გოგონა სკოლისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეშგზავრებოდა, უეცრივ შეშოესმა ერთი ხილის სის მწუხარე მუდარება: „კეთილო და საყვარელო გოგონა! იწამე ღმერთი და მიმამაგრე ისევ ჩემს მარგილზედ! ბოროტმა და ძლავრმა ქარმა ჩამოშგლიჯა მარგილიდან და ვარ მოუსვენრად, ქარი ხან აქეთ მიკრავს თავს და ხან იქით!“ ნათელამ გულ მტკივნეულად უპასუხა: „საბრალო ხევ, აბა რა გაწუხებს, მე გიშველი!“ ამ სიტყვებთან ერთად, ჰატარა გოგონა მივიდა ხილის ხესთან და მჯიდროთ მიამაგრა იგი მარგილზედ. ხილის ხემ ნათელას დიდი მადლობა გადაუხადა. დიდხანს, დიდხანს გასცქეროდა მარგილზედ მიმაგრებული ხილის ხე კეთილ გოგონას, რომელიც უმალვე თავის გზას გაუდგა და სკოლისაკენ გაემგზავრა.

ერთ დილას ნათელა ჩვეულებრივ სკოლაში მიდიოდა. შუა გზა ექნებოდა სწორეთ გავლილი, როცა ჰატარა გოგონას წინ შეეხეჩა ერთი ჰატარა კაცი, რომელიც მწუხარეთ შეეკედრა ნათელას: „კეთილო ქალო, ძალზედ მშია, მაჭამე რამე!“ ნათელამ დაუოვნებლივ ჯიბიდან ამოიღო ყველი და ჰური, რომელიც დედამ საუზმედ გაატანა სკოლაში, გაჰყო შუაზედ და ერთი ნახევარი ჰატარა კაცს მისთავაზა. „აი, საბრალო კაცო, რითაც მასჰინძელი ვიყოთ, მით მოვიმასჰინძლოთ თავიო!“ ჰატარა კაცმა მადლობა გადაუხადა გულკეთილს გოგონას და უთხრა: „ყველასათვის გულკეთილი რამ ეოფილხარ, გოგო-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავ! შვიდი წლის შემდეგ, მოდი ისევ ამ ადგილას! მე ჯუჯათა მეფე ვარ!“ ამ სიტყვებთან ერთად ჯუ-ჯათა მეფე სადღაც შეუმჩნევლად გაჭქრა.

ნათელა სკოლაში მიეშურებოდა, იგი გზაში ჯუჯათა მეფის შესახებ ფიქრობდა და სულ იმას ცდილობდა გამოეცნო, თუ რას მოასწავებდა ჯუჯას მიერ დანაპირი. სიტყვები, რათ იბარებდა ის ბა-ტარა კაცი შვიდი წლის შემდეგ ისევ იმ ადგილას.

ნათელამ უკვე სასწავლებელიც დაამთავრა, იგი სამშობლო ოჯახს დაუბრუნდა და დედას საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა. ნათელა ისე გულმოდგინეთ და გამუდმებით საქმიანობდა თავის სამშობლო ოჯახ-ში, რომ ყველას საერთო სიყვარული და პატივის-ცემა დაიმსახურა.

შვიდმა წელმაც განვლო. ნათელა წავიდა იმ ადგილას, საცა იგი ერთხელ ჯუჯას შეხვდა. ნა-თელა დაპირებისამებრ დიდხანს ელოდა ჯუჯას, მაგ-რამ მის შესახებ ვერა გაიგო რა.

უეცრივ ნათელას შემოესმა სრულიად გარკვეული ხმა: „ნათელა, კაბის კალთა ფართოთ გაშალე!“ ნათელამ კაბის კალთის გაშლაც ძლივსღა მოასწრო, რომ უეცრივ ატეხა საშინელი ქარი და კოკის პირუ-ლად წამოვიდა ოქროს წვიმა. ნათელას განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, იგი გაკვირვებით დასცქე-როდა ფართოდ გაშლილს კაბის კალთას, რომელიც ოქროებით ივსებოდა. ნათელას თავის დღეში ამოდენი

ოქრო ერთად მოგრეოვილი არ ენახა. გულკეთილი ქალი სიამოვნებით დასცქეროდა უთვალავ ოქროს და გულში იმედები ესახებოდა, ეგების ამის შემდეგ ჩემს დაავადმყოფებულს დედას რამ უშველო და უწამლოო, უექიმოდ ჩემს საყვარელს დედას უკანასკნელი დღეები მაინც არ გაუმწარდეს.

ნათელა გახარებული დაუყოვნებლივ სახლში დაბრუნდა. უპირველეს ყოვლისა, გულკეთილმა ქალმა ქალაქში კაცი აფრინა ექიმის მოსაწვევად. დედა ექიმის წყალობით სულ მალე კარგად შეიქნა და თავის გულკეთილ ქალთან ერთად გულმოდგინეთ მეელებურად ოჯახში საქმიანობას მიჰყო ხელი.

ნათელა მთელს სოფელში ყველაზედ უფრო მდიდარი ქალი შეიქნა. მიუხედავად ესეთის სიმდიდრისა ნათელა ისევ ძველებურად წენარი, გამრჯელი და ყველასათვის გულკეთილი ქალი დარჩა. ყველა ღარიბსა და ხელმოკლეს ჩვენი გულკეთილი ქალი უხვად ასაჩუქრებდა და ყველას ერთნაირად გულმოწყალეთ იბრალებდა და დახმარებას უწევდა.

მრავალმა წარჩინებულმა პირებმა განიზრახეს წენარის, ლამაზის და მასთან მდიდარი ნათელას ცოლად შერთვა, მაგრამ ნათელა ყველას უარს ეუბნებოდა, თავისი კეთილი გული ნათელამ გადაუშალა მხოლოდ თავის სოფლის ერთ ერთს მეტად პატიოსანს და სვინდისიერ ახალგაზდა გლეხის შვილს და კიდევაც გაჰყოლა მას ცოლად. ორივე პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიოსანი და შრომის მოყვარე ახალგაზდა სიკვდილამდის მეგობრულად, ბედნიერად სცხოვრობდენ და კიდევაც ღირსნი იყვენ ესეთის ბედნიერებისა.

ა. **მიქაბერიძე.**

(გერმანულით)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიკკი-ტიკკი-ტავი.

რუდიარდ კიპლინგის მოთხრობა

ეს იმ დიდი ომის ამბავს მოგითხრობთ, რომელიც რიკკი-ტიკკი-ტავიმ ორ უსარ-მასარ კობრას გამოუცხადა, ერთ მდი-დარ ბუნგალოს *) ვეებერთელა ბაღში, ინდოეთში. დარსის, ფეიქარა-ჩიტის ცო-ლი დაეხმარა მას, და შუშუნდრამ, მუშკა-თაგვმა, რომელიც ოთახების შუაგულში გავლას ვერ ჭბედავს და მუდამ კედლებს ეკვრის,—მას ერთი რჩევა მისცა, მაგრამ თვით სა-გმირო საქმე რიკკი-ტიკკიმ სულ მარტო-მარტო მო-ი-მოქმედა.

რიკკი-ტიკი ინგლისური იყო. ბეწვის ქურქი და კუ-დი ბატარა კატას მიუგავდა, თავის მოყვანილობა და ზნე-ჩვეულება კი სინდიოფალასი ჰქონდა; მისი თვა-ლები ისეთივე ვარდისფერი იყვენ, როგორც მისი მოძრაკი ცმაცურა ცხვირი; თითოეული თავისი თა-

*) „ბუნგალო“-ს ინდოეთში დიდ სახლს ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თით, წინათი თუ უკანათი, მას შეეძლო თავისი ტანის ეოველ ადგილს მისწვდომოდა და მოეფხანა; მას შეეძლო აგრეთვე ისე გაებერა თავისი კუდი, რომ სწორეთ ბოთლების საწმენდ ცოცხისთვის დაემსგავსებინა; მისი საომარი კიჟინა, როცა ის მაღალ ბალახში სანადიროთ დაცუნცულობდა—რიკკ-ტიკკ-ტიკკი-ტიკკი-ტკ!—იეო.

ერთ დღეს ზაფხულის მოდიდებულმა წყალმა მოიტაცა რიკკი-ტიკკი იმ სოროდან, სადაც ის თავის მამასთან და თავის დედასთან ერთათ ცხოვრობდა, და წააქანა კვნესით და ფართხალით, გრძელ თხრილში, რომელიც ერთი გზის ნაპირს მიჰყვებოდა; იქ რიკკი-ტიკკიმ თვალი მოჰკრა ბალახ-ბულახიან მიწის გორაკს, რომელიც წყალს მოეტივტივებინა, მოებღაუჭა მას და თათებიდან აღარ გაუშვია, სანამ გრძნობა-გონება მთლათ არ დაჰკარგა; როდესაც მოსულიერდა—ის, დაბეგვილი და დაბეჟილი, საძაგელ მდგომარეობაში, ერთი ბაღის ხეივნის შუაგულში მიწაზე ეგდო; მზის სხივები აცხუნებდენ მას, და ერთი ბატარა ბავში ამბობდა:

— ეს მკვდარი იქნემონია; მოდი, დავმარხოთო.

— არა,—უპასუხა ბავშს დედამ,—ავიყვანოთ და გავაშროთ, იქნება ჯერ სულ მთლათ მკვდარი არ იყოსო.

წაიყვანეს სახლში, სადაც ერთმა კაცმა კისერში ორი თითი წააკლო, ასწია ზევით და გამოაცხადა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვდარი არ არის, მხოლოთ წყალში შესცივნია და სული შეჰგუბებიაო; გამოჰხვიეს ბამბაში, მიათბუნეს ცეცხლზე და... რიკკი-ტიკკიმ მალე თვალები გამოახილა და ცხვირს დააცემინა.

— ახლა ნუ შეაშინებთ,—წარმოსთქვა კაცმა, (ეს კაცი ინგლისელი იყო, რომელიც ახლათ დაბინავებულიყო ბუნგალოში)—ნუ შეაშინებთ და ვნახოთ რას იზამსო.

იქნემონის შეშინებისთანა ძნელი ქვეყანაზე არა არის რა, რადგანაც თავიდან დაწყებული კუდამდის ყოველი იქნემონი ერთათ-ერთი გრძნობით არის გამსჭვალული, ცნობის მოყვარეობით. იქნემონის ჯიშის რწმენა არის „ეძიე და იპოვიო", და რიკკი-ტიკკიც ნამდვილი იქნემონი იყო. მან დაათვალიერა ბამბა, რომელშიაც გახვეული იყო, გადასწვიტა, საჭმელათ არ ვარგაო, მაგიდას შემოურბინა, მერე ერთ ალაგას დასკუპდა, თავისი ბეწვის ქურქი გადაისწორ-გადმოისწორა, გაიქექა იქა-აქ და ჰატარა ვაჟს მხარზე შეახტა.

— ნუ გეშინია, ტედდი,—უთხრა ბავშს მამამ,—მეგობრობას გიცხადებს.

— უჰ! ნიკაპ ქვეშ მიხიჩინებს!—თქვა ტედდიმ.

რიკკი-ტიკკიმ ჰატარა ვაჟის ყელსა და საყელოს შუა ჩაიხედა, მერე მის ყურს უსუნა, ბოლოს იატაკზე ჩამოვიდა, იქ მოიკალათა და თავისი ჰატარა, ცმაცურა ცხვირი მოიფხანა.

— ღმერთო ჩემო, ამას უძახიან გარეულ ცხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველს!—წამოიძახა ტედდის დედამ.—ასე უფცრათ თუ მოძინაურდა—უთუოთ იმიტომ, რომ გულკეთილათ მოვექეცით.

— ეველა იქნემონები მაგრე არიან,—მიუგო ქმარმა.—თუ ტედდი კუდს არ გაუწევს, ან გალიაში დამწყვდევას არ მოუნდომებს—ითელი დღეობით ირბენს მსიარულათ ეველა ოთახებში. ვაჭამოთ რამე.

უმი ხორცის ბატარა ნაჭერი მისცეს; რიკკი-ტიკკის ეს საჭმელი საშინლათ იამა; როცა გაათავა—აივანზე გავიდა, მზიან ადგილზე წამოჯდა და იქ თავისი ქურქი რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიბურძგნა, რომ სულ ძირამდის გაეშრო დასველებული ბეწვი. ამას შემდეგ ბევრათ უკეთ იგრძნო თავი.

— ამ სახლში, დარწმუნებული ვარ, ბევრი რისამე ბოვნა შეიძლება,—გადასწყვიტა მან,—მეტის უთუოთ, ვიდრე ეველა ჩემი მოგვარეები სხვაგან იბოვიან მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში. მე აქ დავრჩები, ვეძიებ—და უსათუოთ ვიბოვი.

მთელი დღე სახლის დათვალიერებას მოანდომა; ტანსაბან ოთახში კინალამ წყალში ჩაიხრჩო; ერთ მაგიდაზე ცხვირი მელანში ამოისვარა; მერე მთლათ გაიტრუსა ცხვირი კაცის სიგარის ცეცხლზე, როცა მის მუსლებზე აცოცდა იმის გამოსაძიებლათ, თუ როგორ სწერდა ის კალმით ქაღალდზე; საღამო ჟამს ტედდის ოთახისკენ გაჰქანდა, რომ ლამპის ანთებისათვის ეეურებინა; მერე, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტედდი ლოგინში ჩაწვა—ისიც უკან მიჰყვა; მაგრამ საშინელი მოუსვენარი თანა-მოლოგინე გამოდგა; ოფელ წამს უნდა წამომსტარიყო, რომ ოფელი ხმაურობის მიზეზი გაეგო და ეველაზე ბასუხი გაეცა; როცა ტედდის დედ-მამა მძინარე შვილის სანახავათ მივიდენ, რიკკი-ტიკკი, ფხიზელი და ეურებ-აცქვეტილი ბალიშზე წამოცუცქული დასვდათ

— ეს არაფრათ მომწონს,—თქვა ტედდის დედამ,—ხომ შეიძლება, რომ უკბინოს ბავშს!

— მაგისი ნუ გეშინია, არასოდეს არ უკბენს,—მიუგო ტედდის მამამ,—ის კი არა, თუ საჭირო იქნება, ტედდის ეგ ბატარა ცხოველი უკეთეს სამსახურს გაუწევს, ვიდრე დიდი ძაღლი. ვთქვათ ახლა რომ ამ ოთახში გველი შემოსრიალდეს...

მაგრამ ტედდის დედას ასეთი საშინელება ფიქრშიაც არ უნდოდა გაეტარებინა.

მეორე დილას რიკკი-ტიკკი, ტედდის მხარზე შესკუბული, ადრიანათ გამოვიდა აივანზე, სასაუზმოთ; ერთ ბანანი და ცოტა კვერცხის გული უთავაზეს; მადიანათ შეექცა, მერე ეველას ნება მისცა ხელში აეყვანათ და ერთი-მეორისთვის გადაეცათ; ოფელ კარგათ გამოზდილ იქნემონს იმედი აქვს, რომ ერთხელ და ერთხელ შინაურ იქნემონათ გახდება და ისეთს დიდ სახლს იშოვის, რომ შიგ თავისუფლათ ირბინოს; და რიკკი-ტიკკის დედას, რომელსაც თავისი სიყმაწვილე ერთი გენერლის ბუნგალოში გაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარებინა,—მშვენიერათ შეესწავლებინა თავისი ვაჟი-სათვის, როგორ უნდა დაეჭირა თავი, თუ როდისმე თეთრ ადამიანებს შეხვდებოდა.

ნასაუზმევს რიკკი-ტიკკი ბაღში ჩავიდა, რომ იქაც ენახა ეველა ის, რისი ნახვაც კი შეიძლებოდა; ბაღი ძალიან დიდი იყო და თითქმის სულ მოუვ-ლელი; რა არ მოიპოვებოდა შიგ! აუარება ვარდის ჩირგვები, დიდი, უშველებელი, როგორც ოთახები, ფორთოხლის და ლიმონის ხეები, სწორათ ამართუ-ლი ლერწმები და დაბურულ ტეესავით გაუვალი მაღალი და ხშირი ბალახი. რიკკი-ტიკკიმ სიამოვ-ნებით ტუჩები გაილოკა.

— საუცხოვო სანადირო ადგილია!—თქვა მან; მისი კუდი რგვალ ცოცხსავით გაიბურძგნა და ის ბაღის თავიდან ბოლომდის და ბოლოდან თავამდის მსიარულათ სირბილს მოჰყვა, თან ეოველი მხრით ეველაფერს ათვალიერებდა და სუნავდა, როცა უმცრათ ერთი დიდი, ეკლიანი ბუჩქნარის შუაგულიდან რაღაც სევდიანი და მწუხარე ხმა მოესმა.

ეს ფეიქარა-ჩიტის, დარზის და მისი ცოლის კვნესა-ვაება იყო. მათ ორი ფართო ფოთოლი წმინდა ბალასით ნაპირ-ნაპირ ერთმანეთზე გადაკეკ-რებინათ, შიგ ბამბა და ბუმბული ჩაეგოთ და ამნაი-რათ მშვენიერი ბუდე გაეკეთებინათ; ბუდე, მაღლათ ჩამოკიდებული, ნაზათ იქით-აქეთ ირხეოდა, დარზი და მისი ცოლი კი, შესავალ ჭვრიტიმალთან ჩამომ-ჯდარი, მწარეთ სტიროდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა დაგემართათ?—ჰკითხა რიკკი-ტიკკიმ.

— დიდი უბედურება!—მიუგო დარზიმ.—ერთი ჩვენი ბარტეი გუშინ ბუდიდან გადმოგვივარდა და ნაგმა შეჭამა.

— ჰმ!—თქვა რიკკი-ტიკკიმ,—მართლა რომ ძალიან საძწუხარო ამბავია. მაგრამ მე აქ უცხოელი ვარ, არა ვიცი-რა... ვინ არის ნაგი?

დარზი და მისი ცოლი, ჰასუხის გაცემის მაგივრათ, სწრაფვათ ორივე ბუდეში ჩახტენ, რადგანაც სწორეთ ამ დროს ბუჩქნარის ძირში, მაღალ და ხშირ ბალახში, რაღაც მიერუებული სისინი, რაღაც საშინელი, ძარღვებში სისხლის გამყინავი ხმა გაისმა; ერთი ვეებერთელა ნახტომით რიკკი-ტიკკიმ უკან დაიხია; მაშინ ნელ-ნელა, ხანტათ, ბალახებიდან დიდი შავი კობრამ თითქო ყაბალახ-წამოსხმული *) თავი ამოიწია; თავს უკან ტანიც მოჰყვა; გველი უშველებელი იყო, თავიდამ კუდამდის ორ არშინზე მეტი სიგრძე ექნებოდა; როცა თავისი ტანის მესამედი ზევით სვეტსავით ამართა, ის შეჩერდა და იქით-აქეთ რხევა დაიწყო, სწორეთ ისე, როგორც მაღალი მცენარე ირხევა ხოლმე, როცა მას ქარი ათამაშებს; თან რიკკი-ტიკკის მიაშტერა თავისი ავი თვალები, გველის უცნაური თვალები, რომელთაც ეოველთვის ერთი და იგივე გამომეტყველება აქვთ, რა აზრიც უნდა ტრიალებდეს მათ თავში.

*) კობრა-გველს კისერთან კანი ისე აქვს დაკეცილი, თითქო ყაბალახი ეხვიოსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ არის ნაგი?—თქვა მან.—მე ვარ ნაგი! ძლიერმა ღმერთმა, ბრამამ, ნიშნათ წყალობისა, სათვალეები დასტა ზურგზე მთელ ჩვენ გვარს იმ დღეს, რა დღესაც ჰირველმა კობრამ თავისი ეაბალახი გაშალა, რომ ძმინარე ბრამას ივის მზის სხივები დაეჩრდილა. აი, შეხედე ნიშანს! შეხედე და აკანკალდი შიშით!

ნაგმა გაბერა რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავისი ეაბალახი და რიკკი-ტიკკიმ, მართლაც, მის ზურგზე დიდი ნიშანი დაინახა; ეს ნიშანი სათვალეებსაც ჰგავდა და, კიდევ უფრო, უზარ-მაზარ დედალ დუგმას.

რიკკი-ტიკკი შეკრთა და შეშინდა, მაგრამ მხოლოთ ერთი წამით; იქნებოდს შეუძლებელია დიდხანს რისამე ეშინოდეს, და რიკკი-ტიკკი ხომ ნამდვილი იქნემონი იყო; მართალია, მას ცოცხალი კობრა ჯერ არაოდეს არ ენახა, მაგრამ დედას ხშირათ ეჭმია მისთვის მკვდარი კობრები, და რიკკი-ტიკკიმ კარგათ იცოდა, რომ დიდი იქნემონის ცხოვრების მიზანი—გველებთან ომი და მათი ჭამაა. ნაგმაც კარგათ იცოდა ეს, და თავის გაეინულ გულის დაფარულ, სულ დაფარულ კუნჭულში—შიში ეპარებოდა.

— მერე რა?—თამამათ მიუგო რიკკი-ტიკკამ და კუდი ხელ-ახლავ გაიბურძგნა—ნიშნიანს თუ უნიშნოს, ნუ თუ გგონიათ, რომ ვისმეს ნება ჰქონდეს ბუდიდან ჩამოვარდნილი ბატარა ჩიტები ჭამოს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგი რადაცაზე ჰფიქრობდა და გულმოდგინეთ თვალ-ყურს ადევნებდა რიკკი-ტიკკის უკან ბალახში შმაშურს და შრიალს; მას კარგათ ესმოდა, რომ ადრე თუ გვიან, ამ ბადში იქნემონის გამოცხადება მისთვის და მთელი მისი ოჯახისათვის სიკვდილს მოასწავებდა, ამიტომ უნდოდა რიკკი-ტიკკი გაერთო და მისთვის სიფრთხილე დაევიწყებინა; ბასუხის გასაცემათ თავი გვერდზე გადიხარა და დინჯათ წარმოსთქვა:

— ვიბაასოთ, თუ გნებავთ. თქვენ ხომ კვერცხებს კარგათ შეექცევით! მაშ, ჩვენთვის რათ უნდა იყოს ფრინველების ჯამა აკრძალული?

— უკან, უკან, თქვენს უკან მიიხედეთ!—დაჰმღერა უეცრათ დარზის ცოლმა.

რიკკი-ტიკკი მაშინვე მიხვდა რაშიაც იყო საქმე და ერთ თვალის დასამხამებაზე ის მაღლა სეზე ახტა, იმავ წამს სწორეთ მას ქვეშ ნაგის ავგულა ცოლის, ნაგენას თავმა გაისისინა; ნაგისა და რიკკი-ტიკკის ლაბარაკის დროს ის ნელ-ნელა, ჩუმათ უკანიდან რიკკი-ტიკკის უახლოვდებოდა და ის იყო მას კბენას უპირებდა, როცა დარზის ცოლმა თვალი მოჭკრა და გაამხილა; გაანჩხლებულმა ნაგენამ სიბრაზით დასისინების მეტი ვეღარა მოახერხა-რა.

რიკკი-ტიკკი ძირს რომ დაეშვა, ნაგენას ზურგზე დაეცა; ის რომ ხნიერი და გამოცდილი იქნემონი ყოფილიყო, ეცოდინებოდა, რომ ამ შემთხვევით უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესარგებლა და მტერს მძლავრათ კისერში ჩაჭფერენოდა; მაგრამ რიკკი-ტიკკი ჯერ სულ ახალგაზდა იქნემონი იყო და ნაგენას საშინელი კუდის მოქნევის შეეშინდა; მაინც უკბინა, მაგრამ საკმაოთ ღრმათ არა, და იმავ წამს მარჯვეთ შორს გადახტა, რომ ტკივილით გამწარებული ნაგენა ველარ მიწვდომოდა.

— სამაგელო, სამაგელო დარზი! — წამოიძახა ნაგმა და ეკლიან ბუჩქნარში ჩამოკიდებულ ბუდეს ბრაზით კუდი მოუქნია; მაგრამ დარზის და მის ცოლს ბუდე გველისთვის მიუწვდომელ სიმაღლეზე გაეკეთებინათ; ნაგმა მას ვერა დააკლო-რა, ბუდემ მხოლოდ ჭაერში რხევა-ქანაობა დაიწყო.

რიკკი-ტიკკიმ იგრძნო, რომ თვალები წითლათ ენთებოდენ; (როცა იქნემონს თვალები უწითლდება, ეს იმის ნიშანია, რომ ის გულმოსულია) ის თავის კუდზე და უკანა თათებზე წამოსკუჰდა, როგორც ბატარა კენგურუ, იქით-აქეთ მიიხედ-მოიხედა და კბილები გააკრაჭუნა; მაგრამ ნაგი და ნაგენა აღარ-სად ჩანდენ, მაღალ ბალახში გამქრალიყვენ. როცა გველს ანგარიში უხდება, ის არაოდეს არას ამბობს და არც არავის მიახვედრებს, თუ შემდეგისათვის რას აპირებს. რიკკი-ტიკკის მათი უკან გაეოლა ფიქრათაც არ მოსვლია, რადგანაც კარგათ გრძნობდა, რომ ორ დიდ-გველს ერთათ ვერაფერნაირათ ვერ მოერეოდა; ამიტომ ის საჩქაროთ წაცუნცულდა სახლისაკენ და მის სიახლოვეს ერთ ქვიშით მოფენილ სეი-

ვანში წამოჯდა, რომ იქ მოსვენებით და თავისუფლათ ეგელაფერზე დალაგებით ეფიქრა. ეს საქმე სახუმარო არ იყო.

თუ ბუნების-სამეტეველო ძველ წიგნებს გაშლით, იქ წაიკითხავთ, რომ როცა იქნემონი გველს ებრძვის და გველი მას ჭკბენს — ის საჩქაროთ რაღაც ბალახის შესაჭმელათ მირბის და ეს ბალახი მას არჩენსო. მაგრამ ეს მართალი არ არის; იქნემონის გამარჯვება ბალახზე კი არა, მხოლოთ ძისი საკუთარი ფეხის სიმარდეზე და თვალის სისწრაფეზე არის დამოკიდებული. რადგანაც ყოველათ შეუძლებელია რომელიმე სულიერმა არსებამ გველის საოცარი სისწრაფით თავის გაქნევ-გამოქნევას თვალი ადევნოს — ამიტომ აქ ისეთი სასწაული ხდება, როგორსაც ვერა ჯადობალახი ვერ მოახდენდა.

რიკკი-ტიკკის თითონაც კარგათ ესმოდა, რომ ჯერ ძალიან ემაწვილი იყო და ამის გამო კიდევ უფრო ამაყობდა მით, რომ უკანიდან მოპარული მტერი ასე მარჯვეთ მოიგერა. ამ გარემოებას თავისი თავის იმედი მიეცა და, როცა ტედდიმ ბილიკზე ჩამოირბინა და მას მხიარულათ მიუახლოვდა, რიკკი-ტიკკი, მშვენიერ გუნებაზე დამიხვდა და სიამოვნებით მოელოდა მისგან დამსახურებულ მოფერებას; მაგრამ სწორეთ იმ წამს, როცა ტედდი დაიღუნა, რომ მისთვის ალერსით ზურგზე ხელი გადაესვა, — ძირს, ქვიშაში, რაღაც დაიხვა და დაგორგალდა, და რაღაც ხმამ წვრილათ დაიწიწინა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაფურთხილდით, მე სიკვდილი ვარო.

ეს კარეტი იყო, ერთი ნამცეცა მუქ-კანიანი გველი, რომელიც ყოველთვის ქვიშაში იმალება, რადგანაც, თითონაც ქვიშის ფერია, იქ ძნელი დასანახი და საპოვნელია. კარეტის კბენა ისეთივე შხამიანია, როგორც კობრასი, მაგრამ ის ისე ჰატარაა, რომ მას ძნელათ თუ ვინმე შეჭნიშნავს; ამიტომ მას კიდევ უფრო მეტი ვნება მოაქვს, ვიდრე დიდ კობრას.

რიკკი-ტიკკის თვალები ხელ-ახლავ აწითლდა და აინთო; ის ნელ-ნელა მიუახლოვდა კარეტს იმ უცნაური ტანის რხევით და ლასლასით, რომლის ჩვეულებაც მის გვარს მისთვის მემკვიდრეობით გადმოეცა. შესახედავათ ამნაირი ცოცვის მსგავსი სიარული ძალიან სასაცილოა, ნამდვილათ კი ძალიან მარჯვე და გამოსადეგი, რადგანაც ეს ტანის რხევა და ლასლასი იქნემონს ნებას აძლევს რა წამსაც უნდა იმ წამს მოულოდნელათ შესცვალოს თავისი გზა, მას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა მას მოწინააღმდეგეთ გველი ჰყავს.

ჰატარა რიკკი თავის თავს ანგარიშს არ აძლევდა, რომ ის ნაგის შებრძოლებაზე უფრო საშიშ საქმეს ჩადიოდა; კარეტი ისეთი წვრილია და ისე ადვილათ შეუძლია ყოველი მხრით მიტრიალ-მოტრიალება, რომ, თუ რიკკი ჰირველშივე, მის მოახლოვებაზე, ვერ მოუხერხებდა ზურგზე კბენას; კარეტი ადვილათ მოუბრუნდებოდა და თვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თონვე ჩააფრინდებოდა თვალში, ან ტუჩში. მაგრამ რიკკიმ ეს არ იცოდა; მისი თვალები მთლათ ერთიანათ გაწითლებულიყვენ და ის კლაკვნით უახლოვდებოდა გველს, თან მის ზურგზე საუკეთესო საკენ ადგილს ირჩევდა. კარეტი გამოჭქანდა; რიკკი სწრაფათ განზე გასტა; მერე სცადა ზედ შეხტომოდა, მაგრამ ავგულა ჰატარა გველის ნაცრისფერმა თავმა სწორეთ მის მხართან გაიწიწინა; რიკკი იძულებული გახდა ერთი დიდი ნახტომით გველს ტანზე გადაჭვლებოდა, მაგრამ გველის წიწინა თავი მას ეკვლვან და ოოველი ძხრით შიგ კუდში მისდევდა.

— ოჭ, ერთი აქ მოდით, შეხედეთ, შეხედეთ! — გასძახა სახლისკენ ტედდიმ.—ჩვენი იქნემონი გველსა ჭკლავს.

რიკკი-ტიკკიმ ტედდის დედის შეშინებული წამოკივლება გაიგონა; ტედდის მამა კი საჩქაროთ გარეთ გამოვარდა დიდი ჯოხით ხელში; მაგრამ, სანამ ის მოახლოვდებოდა, კარეტს საქმე წაუხდა: ის უხერხულათ მოტრიალდა, რიკკი-ტიკკიმ ამით ისარგებლა. ელვის სისწრაფით ზურგზე შეახტა, თავი დაბლა დახარა, ძალიან დაბლა, წინა თათებს შუა, და, რაც ძალი და ღონე ჭქონდა, ზურგზე უკბინა, ძაღლა, სულ ძაღლა, თავთან ახლოს; მერე შორს გადაოტრიალდა, რომ დაენახა, აბა გველი ახლა რას იზამსო; გველი აღარ ინძრეოდა, რადგანაც ამ კბენას მისთვის ოოველი მოძრაობის უნარი წაერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თმია, და რიკკი-ტიკკი, ის იყო, გულ-დამშვიდებით მის შეჯმას აპირებდა, კუდიდან იწყებდა, როგორც იქნემონებს ეს ჩვეულებათა აქვსთ, როდესაც უეცრათ გაახსენდა, ნოეიერი სადილი დამამძიმებს და სჯობს სულაც არა ვჭამო-რა, რადგანაც ძალიან შესაძლებელია, მალე მთელი ჩემი სიმარჯვე და სიმარდე დამჭირდესო. მაშინ ის ცოტა მოშორებით ქვიშაზე გაგორდა, მაღალ ბალახების ძირში, ტედდის მამამ კი ამ დროს მკვდარ კარეტს ჯოხი დაუშინა.

— რაღა საჭიროა?—გაიფიქრა რიკკი-ტიკკიმ.— მე ეკელაფერი გავათავე. ტედდის დედამაც მოირბინა, რიკკი ხელში აიყვანა და სიყვარულით გულში ჩაისუტა, თან ტიროდა და იმეორებდა, ტედდი სიკვდილს გადაარჩინაო; ტედდის მამამ გამოაცხადა, ეს იქნემონი ნამდვილი ღვთის განგება არისო; ტედდი კი ყველას გაკვირვებით შეჩერებოდა თავისი დიდი გაფართოებული თვალებით.

რიკკი-ტიკკის ყველა ეს ძალიან ახალისებდა, თუმცა კარგათ არ ესმოდა, რაში იყო საქმე და რატომ ეფერებოდენ, რატომ უმასოდენ განგებას; კარეტთან შეტაკება მისთვის იგივე იყო, რაც ტედდისთვის ქვიშაში თამაში; ის თავს იქ ეკვდა, სხვა არაფერი.

ელ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი.

(50 **წლის იუბილეის გამო**).

საქართველოში იშვიათათ თუ მოიპოვება ისეთი კაცი, ვისაც **აკაკის** სახელი არ გაეგონოს. ნახევარი საუკუნე გასრულდა მას შემდეგ, რაც იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. წელს, 7 ქრისტეშობისთვისათვის, მთელი ქართველობა დიდის ამბით ემზადება მისი 50 წლის მოღვაწეობის დღესასწაული გადაიხადოს. ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, ამ სასიქადულო მამულიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა მოკლეთ მაინც გავითვალისწინოთ.

თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი დაიბადა 1840 წ., სოფელ საჩხერეში, ზემო იმერეთს. მამა მისი, როსტომ წერეთელი, ცნობილი იყო, როგორც ჭკუა-მახვილი და მოსწრებული სიტყვა-პასუხის კაცი. სჩანს, ეს თვისება მამას შვილისთვისაც გადაუცია. დედა აკაკისა, ივანე აბაშიძის ქალი, იმ დროის შესაფერად დიდათ განვითარებული და ქართული მწიგნობრობის კარგი მცოდნე ყოფილა. მას კარგათ სცოდნია შინაური ექიმობა, და გლეხებს, თურმე, უსასყიდლოთ სწამლობდა. თავისი ჩამომავლობის მიუხედავათ (დედის მხრით, იმერეთის მეფის სოლომონ I-ელის ქალის დარეჯანის შვილიშვილი იყო), იგი თავის დამცირებად არა სთვლიდა გლეხებისთვის საკუთარის ხელით მოემზადებია წამალი; აგრეთვე, როცა შემთხვევა მიეცემოდა, მზად იყო თავისი ქმრის, როსტომ წერეთლის წინაშეც გაჭირვებული გლეხებისათვის შუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომლობა გაეწია და უკანასკნელთა უფლება დაეცვა. როგორც სჩანს, ეს თავმდაბლობა და გლეხებისადმი სიბრალული დედიდან შვილზედაც გადასულა. ამ ორი ძვირფასი თვისების გამტკიცებასა და განვითარებას პატარა აკაკიში მისმა აღზრდამაც შეუწყო ხელი.

მაშინ ჩვენში „ძიძაობა“ იყო მიღებული და, ჩვეულების ძალით, პატარა აკაკი ერთი გლეხის ოჯახში გააბარეს, სოფ. სავანეს. „არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ, თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთათ ვიზრდებოდიო“,—ამბობს თვითონ აკაკი ამის შესახებ თავის „თავგადასავალში“. ხუთ წლამდე აკაკი ძიძის სახლში იზრდებოდა და შემდეგ მშობლების სასახლეში მოიყვანეს. აქ დედა-მისმა გონებრივ-ზნეობრივი წრთვნა ლოცვების სწავლებით დააწყებინა. რამოდენისამე ხნის შემდეგ კაკომ ხუცურის კითხვაც დაიწყო თავისი უფროსი დის ხელმძღვანელობით; ხოლო მხედრული წერა-კითხვა თავისით ისწავლა. მცირე ხნის შემდეგ დედამ რუსული წერა-კითხვაც დააწყებინა. შვიდი წლის კაკოს თითქმის მთელი „ვეფხის-ტყაოსანი“ გადაკითხული ჰქონდა. ამავე დროს მას დაუწერია რაღაც კომედიის მსგავსი თავისი მამის მოურავის შესახებ, თუ როგორ აწვალებდა უკანასკნელი გლეხებს; მაგრამ შემდეგში ეს პირველი ნაწარმოები თვითონვე დაუწვავს.

რვა წლისა რომ შეიქნა, აკაკი სახლს მოაშორეს და ქუთაისს გაისტუმრეს, რადგან გიმნაზიაში შესვლის დრო მოუვიდა. გიმნაზიაში აკაკი კარგათ სწავლობდა. როცა გიმნაზია დაამთავრა, პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ იგი დროებით მოსკოვს გადასახლდა, სადაც ერთი წარჩინებული ოჯახის ქალი შეირთო ცოლად. თუმცა უმაღლესი სწავლა, ნიჭი და ნათესაური კავშირი აკაკის დიდათ ხელს უწყობდა, სახელმწიფო სამსახურში ძლიერ კარგი ადგილი ეშოვნა და მალეც დაწინაურებულიყო, მაგრამ მან სულ სხვა გზა აირჩია. იგი დაბრუნდა სამშობლოში და, აგერ, ორმოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ათი წელი შესრულდა, რაც მხოლოდ ლიტერატურასა და ჩვენი ხალხის ეროვნულ ინტერესებს ემსახურება. ჩვენი ერის ცხოვრებაში ეს პირველი მაგალითი იყო განსაკუთრებულის ლიტერატურო მოღვაწეობისა,—როცა ლიტერატორი მწერლობით ემსახურება ხალხს და მარტო კალმით ირჩენს თავს.

თავისი მოღვაწეობის საგნად აკაკიმ დაისახა: მშობელი ერის ბედნიერება, მისი გონებრივი გამოფხიზლება და ზნეობრივი ამაღლება. თავის ერთ ლექსში, რომელიც თითქმის ყოველ მოსწავლე ახალგაზდას ზეპირად აქვს დასწავლილი, აკაკი ამბობს: პოეტური ნიჭი და კალამი მისთვის მინდა, რომ ხალხში სიმართლე და წმინდა აზრები მოვფინო და საზოგადოების გულში მიძინებული წრფელი გრძნობები გამოვაფხიზლოო:

„მე ჩანგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს ა'ხრი წმინდა,
გულს სიწმინდით ახურებდეს“.

ამასთანავე, პოეტმა იმ თავითვე კარგათ იცოდა, რომ ყოველ ერში და, მაშასადამე, ჩვენს ერშიაც ორგვარი მდგომარეობის ხალხი გვხვდება: გაბატონებული და დამონებული, ანუ დამჩაგვრელი და დაჩაგრული. ჩვენი მგოსნის თანაგრძნობა დაჩაგრულებისაკენ იყო მიმართული. იმავე ლექსში პოეტი ამბობს: მსურს, ჩემი ჩანგურის

„ადტაცებით სიმთა ყდერა
გამოსცემდეს მაგნიტის ხმას
და მაზედაც ჩემი მდერა
ორ-ხმოვანად გამოისმას,—
„რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ი'სრიკვით ესობოდეს!“-ო.

ასეც იყო: ზეგარდმო ნიჭით ცხებული მამულიშვილი იმ თავითვე გაბედულათ ჰგმობდა ყველაფერს, რაც ჩვენი ხალხის წინსვლა-განვითარებას ხელს უშლიდა, რაც რყვნიდა მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზნეობრივად, ათახსირებდა გონებრივად და აბეჩავებდა ქონებრივად. იმ დროს ასეთს ძირითადს უკეულმართობას წარმოადგენდა—**ბატონყმობა**,—და, სხვა საუკეთესო მამულიშვილებთან ერთათ, ამ ბოროტებას ახალგაზდა აკაკიც თავგანწირულათ შეებრძოლა.

„ჰირმოთნეობით ის დაჩაგრული
ერავის სთხოვდა თვის წარმატებას
და, სიმართლისთვის თავ-განწირული,
ადიარებდა ჭეშმარიტებას;
უშლიდა მოძმეთ სულის მდაბლობას,
ჭვმობდა მათ შორის ის უპირობას,
მაგრამ ეტუოდენ რაგვარ მადლობას?
ემუქრებოდენ ტუკვის კაძრობას!
„გამოახილეთ,—ამბობდა,—თვალი:
შეიტუეთ გლეხიც თქვენი ძმა არი!“
და რას ისმენდა ნაცვლად საწყალი?
„ჩუ, თორემ ცხვირში წაგსკდება ძმარი!“
დაჩაგრულს გლეხებს ეფერებოდა,
დიდ-კაცებს ჭვმობდა ჰირ-უთნეკელად,
მისთვის მას უკვდა ემტერებოდა...
უკელს მიაჩნდა საზიზღარ კველად!“

მაგრამ ახალგაზდა მგოსანი მათს ზიზღსა და მუქარას არ უშინდებოდა: მას სწამდა, რომ ბოლოს სიმართლე გაიმარჯვებდა, და მადლიერი ჩამომავლობა ღირსეულათ დააფასებდა მის თავგანწირულს სამსახურს დაჩაგრულ მოძმეთა სასარგებლოდ.

თან დაყოლილი და აღზრდის პირობებით განვითარებული გრძნობა სიყვარულისა ყველა დაჩაგრულისადმი მგოსანს გადაჰქონდა, აგრეთვე, მთელ თავის **სამშობლოზე**, რომელიც, როგორც ვიცით, მე-XIX საუკუნის დამდეგიდან იმავე დაჩაგრული მონის მდგომარეობაში ჩავარდა. აქ პოეტის სიყვარულმა უმაღლეს ხარისხამდე მიაღწია: მგოსანი არ კმაყოფილდება სამშობლოსადმი მარტო სიყვარულით, იგი აღმერთებს, პირდაპირ თაყვანსა სცემს თავის მრავალ-ტანჯულს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსამართლოდ დაჩაგრულს მშობელ ქვეყანას. თავისი სამშობლო პოეტს წარმოდგენილი ჰყავს, როგორც ტურფა, სილამაზით უხვათ დაჯილდოებული არსება, და გაგიჟებულის სიყვარულით უმღერს მას. თავის ერთ ლექსში („ნატვრა"), უცხოეთში მყოფი, ახალგაზდა მგოსანი ნატრობს ჩიტად გადაიქცეს, გადაფრინდეს თავის სამშობლოში, და დაეშვას იმ ველებზე, სადაც ქართველს ბევრჯელ სისხლი ულვრია, და მოწიწებით ემთხვიოს ამ სისხლით გაპოხიერებულს მიწას:

„დავეტეში გულ-მკერდით...
იმ ველზე დავეშვები,
ნისკარტით ვუამბორებ
წმინდა სახსოვარ მიწას,
წინაპრების სახსოვრათ
კვნესით ჭიკჭიკს მოვჭუჭები;
ქვეყანას შევაბრალებ...
შეგავედრებ მათ ზეცას!
მაგრამ ვით გავარჩიო
ჩვენი მკვდარი და მტერი?
ხომ სულ ერთად ჭურიან
არეულ-დარეული?
წმ. ნდა ბრე წინაპრების
და მტრების ბილწი მტვერი
რატომ არ არის, ნეტავ,
გარჩეულ-გასაზდგრული?
არ დავსდევთ, მაგრამ ის კი
თვით ბუნებამ გასაზდგრა:
იქ ეკალი ამოდის,
სადაც მტერი მარხია,
და, სადაც ჩვენმა ძველმა
წმინდა სისხლი დაჭდვარა,
იქ მოდის ევავილები
და ზოგანც ვარდის ხეა!...»

ამაზე უფრო მომხიბვლელად და მეტის სიძლიერით დღემდე არც ერთ ქართველ მგოსანს არ გამოუხატავს თავისი აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაცებული სიყვარული და ღრმა პატივისცემა წინაპართა ხსოვნისადმი, როგორც ამ ლექსის უკანასკნელ სტრიქონებშია გამოხატული.

თავის მეორე ლექსში მგოსანი შემდეგის აღტაცებული სინაზით შეჰკვნესის თავის ტურფა სამშობლოს:

,,თუ მე გიმღერ, მშვენიერო,
ეს სულ შენი ბრალია;
და ის სცდება, ვინც რომ ჩემზედ
ამ მღერისთვის მწყრალია...
მსურს მოგვინო, მშვენიერო,
შენი ქება ცის კიდეს!...
ვფიცავ, ლხინად მიმაჩნია
ჭირი შენს გადამკიდეს!...
რომ დამიბან კიდეც ენა,
გულს ხომ მაინც ვიძგერებ!
ტურფავ, შენის გულისთვის
ქვეყანას დავიმტერებ!
ნათესავებს და მეგობრებს
შენთვის ყველას ვეურები,
უსასყიდლოდ გმსახურებ და
მძიმე ტვირთს ქვეშ ვიხრები!...''

მაგრამ პოეტის ცხოვრებაში იყო ისეთი წუთები, როცა უმადური სამშობლო მის წმინდა გრძნობას ვერ ხედავდა, მის აღფრთოვანებულ სიყვარულს არ აფასებდა; იგი ყურს არიდებდა მამულიშვილის გულწრფელ აღსარებას და თავის მტერს ნებით ხელში უვარდებოდა (ლექსი: „აღმართ აღმართ მივდიოდი...“). მაშინ მგოსნის დაკოდილი გულიდან გადმოსკდებოდა ნაღველითა და წყევლა-კოცულვით შეზავებული საყვედური ბედისადმი:

,,ჩემო თავო, ბედი არ გიწერია,
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია,
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგანც სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია...
ადრა აქვს ბოლო ამ ჩემ სატანჯველს,
არვინ მაძლევს სანუგეშოდ ძმურად ხელს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს შარბათში ნადვილს ვეწვრეტ და ვარდში გველს,
მისთვის ვწუევდი და ვემდური ამ სოფელს,
რომლისგანაც მე გზები ამერია!...
დავუძღურდი, განქრა გიჟი ოცნება...
ნადვლიანად ჩემს თავზედ მეცინება
და დმერთს ვეკედრებ: „დმერთო, მომეცი ნება,
რომ მედირსოს სოფლავში დაძინება!“
სჯობს, სულ განქრეს კაცი, რადგანც მტვერია!“

მართალია, ასეთი წუთები პოეტის ცხოვრებაში იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენდა, მაგრამ მგოსნის ჩანგი უმეტესათ მაინც იმედიანათ ჟღერდა, პოეტი საბოლოოთ არასოდეს გულს არ იტეხდა და მისი მამულიშვილური სიყვარული ამგვარი წუთებიდან მუდამ განახლებული და გამარჯვებული გამოდიოდა. ვერც ცხოვრების ცუდმა პირობებმა და ვერც დრომ ვერ დააბერა ეს სიყვარული. 68 წლის მგოსანი დღესაც ისეთისავე სიცხოველით დასტრფის და დამღერის საყვარელ სამშობლოს, როგორც ახალგაზრდობისას დამღერდა. თავის ერთ ლექსში, რომელიც ამ რვა წლის წინად დაიბეჭდა, მგოსანი ამბობს:

,,მე მას გუგალობ, ვისაც განგებამ
მშვენიერება უსხივ-ციისკარა,
ვინც ვარდს ეფერი, ია სინაზე
და ბულბულს ენა ერთად მოჭვარა!
,,ის არის ჩემი ტკბილი სიზმარი
და მომხიბლავი მძლავრი ოცნება,
სიყვარული რომ ტახტად უდგია,
ეგვირგვინება პატიოსნება!...
,,როცა ჭაბუკი, გამოუცდელი,
მას თაყვანს ვცემდი თავდადებულად, —
ვხედავდი ნინოს, თამარს, ქეთევანს
იმაში შენათხზ-შეერთებულად;
და საამქვეყნოდ გულ-გრილ მოხუცი
დღესაც თაყვანს ვცემ, როგორც ბირველად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქო ჭაბუკი ვიყო მე ახლა
და ვუოფილიყო მოხუცი ძველად!''

ერთი სიტყვით, პოეტის მამულიშვილური სიყვარული არა თუ არ ჭკნებოდა, პირიქით, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო იზრდებოდა და ძლიერდებოდა. ზოგჯერ თავისი სამშობლო მგოსანს წარმოუდგებოდა, როგორც სნეული, რომელსაც სძინავს, მაგრამ მალე გაიღვიძებს და განახლების გზას დაადგება:

,,არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიდვიძებს...
ბევრის ბრძოლით დაქანცულსა
ეჭირვება მოსვენება.
შემცდარია, ვინც გულს იტეხს:
წესი არის და ბუნება!...
ჩვენ კი ჩვენდა თავად ვიტყვით:
გულსა სწამს და ჭეშას სჯერა,
რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა
მომავალი ბედის წერა!...''

დიაღ, პოეტს მუდამ სწამდა თავისი ქვეყნის „მომავალი ბედის-წერა" და სწორედ ეს რწმენა აძლევდა გასაოცარს გულის-სიმაგრესა და გამბედაობას ცხოვრების უკეთესმართ პირობებთან საბრძოლველად:

„ის ადარა ვარ, რაც ვიყავ,
ძნელი ეოფილა ჭადარა...
ვედარ გაჭკივის თამამად
ჩემი დაფი და ნადარა!...
ამევსო გული წვეთ-წვეთად
ნადვეფილითა და შხამითა,
ისე ვით სუბუნები
სხვა და სხვა მრავალ წამითა.
მაშ რადად მინდა სიცოცხლე
მე, აწმეო გამწარებულსა,
თუ ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს,
ვხედავ მას ახრებულსა?!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ იმედი, ცის ნიჭი,
რომ გამიელვებს გლახ-გულსა,
თავი ტარიელ მკონია
ოცნებით გარე-მოტულსა;
ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს:
მხარი მხარს მივცეთ, ხელი ხელს,
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჭეავს,
მოელის ტურფა გამომხსნელს!
რა ვუყოთ, თეთრი მერიოს:
ინით შეგდებავ ჭადარას
და სულ სხვა ხმაზე დავუკრავ
ამ ჩემ დაფსა და ნადარას...
არა, აჭეავდეს იმედი;
გულს ვერ გამიტეხს ჭადარა...
გმირებს უძახის, უყივის
ჩემი დაფი და ნადარა!"

ასეთის იმედით ყღერდა პოეტის ჩანგი უკანასკნელ დროამდე, რაც ცხადათ სჩანს მისი უკანასკნელი პოემიდან: „საქართველოს დღევანდელი სახე", რომელიც ამ ერთი თვის წინად დაიბეჭდა და რომელიც შემდეგის საანდერძო სიტყვებით თავდება:

„აი, ვხედავ „მოამავალში":
გამოსულა მუშად ერი,
ერთმანეთთან შეთანხმებით
ძლიერი და ბედნიერი.
გზა გაჭეავს და ხიდსაც აგებს,
სისხლითა და ოფლით რწყულსა;
და მამულის მოიმედე
ადარ იმჩნევს წულულად წულულსა.
გამარჯვება ნამდვილ მუშებს!
ვაშა, ვაშა მოამავალსა!
ის ასწორებს დღეგანდლების
გამრუდებულ გზა და კვალსა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტავ იმ დროს და მის დამსწრეს,
ზეზეულ გრძნობს ცხონებასა:
არც ისურვებს ბატონობას
და არც ვისმეს მონებასა;
ადიარებს მხოლოდ ძმობას,
თანსწორობას, სიყვარულსა
და საზღვარი არ ექნება
მის უმანკო სიხარულსა!
შორით ვხედავ იმ ნეტარ დროს
ამ ცუდ დროში დინაბადი
და ანდრძად მხოლოდ რჩება
ჩემი გული და ნაბადი!
დიახ... მხოლოდ ანდერძად-და!
მაგრამ მაინც იმედია!..
მომავალი სიხარული
ნეტარება და ბედია!...
რა ვუყოთ, რომ ვერ მოვესწარ!
სიკვდილის წინ ხომ მაინც ვგრძნობ
მომავალ ბედს? და ამ გრძნობას
სულთა-მბრძოლი თან ჩავიდნობ:
არ მომკვდარა საქართველო!
აჭეკავდება ერთხელ კიდე!
და გაისმის ქვეყნებურათ
იმისი ხმა კიდით-კიდე!"

ს. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩინო გენძეხაძე

ზეს ჯერ კიდევ წვერი არ ამოეყო, რომ გიგლა და თამრო ლოგინიდან წამოხტენ, საჩქაროთ ტანთ ჩაიცვეს და პირი დაიბანეს, თითქოს საღლაც ეშურებოდენ. ისინი მართლაც ვენახში მიეჩქარებოდენ სართველოთ: წინადღეს მამამ გამოუცხადა: ხვალ რთველი გვექნებაო. გიგლა და თამრო სიხარულით ფეხზე აღარ იდგენ და ამ სიხარულმა წამოახტუნა ისინი ასე ადრე.

— აჰაი, თქვე ცულლუტებო, თქვენა, ჩიაძახა მამამ ბავშვებს: ბატები და საქონელი რომ გყავდეთ ახლა გასადენი მინდორში, მაშინ ხომ არ წამოცვინდებოდით ასე ადრე!

ბავშვებმა ჩაიცინეს, ერთმანერთს გადახედეს და ხმა არ გაუღიათ.

— აბა ხარები მაინც გამომიდენეთ ბოსლიდან, უთხრა მამამ.

ბავშები მაშინათვე გავარდენ ბოსლისაკენ და მალე მორეკეს კუდალა და ნიკორა. საჩინომ, ასე ეძახდენ გიგლასა და თამროს მამას,—მალე დაამზადა ურემი და გაუბა შიგ ხარები. თამროსა და გიგლას დედა—ელისაბედი სახლში დაფაცურობდა და პურებსა, ყველსა და მწვანილს ახვევდა სუფრაში საღილისათვის. საჩინომ დაუწყო ურემზე გოდრები და კალათები, ელისაბედმა გამოიტანა თავისი საგძალი; გიგლა და თამრო ურემზე დასხდენ, საჩინო წინ გაუძღვა გძელი სახრით, ელისაბედი უკან გაჰყვა და გაუდგენ გზას.

შემოდგომის მშვენიერი დილა იყო. სიოც არ იძროდა. მოწმენდილ ცაზე ღრუბლის პატარა ნაგლეჯიც კი არსად მოჩანდა. ვენახამდინ ნახევარი საათის გზა თუ იქნებოდა. კუდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა და ნიკორა ხალისიანათ მიდიოდენ, თითქოს გრძნობდენ, ვენახში ბევრი ბალახი დაგვხვდებაო.

გააჩერა თუ არა საჩინომ ურემი ვენახის ჭიშკართან, ბავშვები სწრაფათ გადმოხტენ და მიიმალენ ვენახში. ყურძენი არ წაახდინოთო, მიაძახა საჩინომ, მაგრამ ბავშვებს არ გაუგონიათ. საჩინომ გამოხსნა ხარები, გძელი ბაწრით მიაბა ლობეზე, გადაზიდა ვენახში გოდრები; შემდეგ აჩეხა ნედლი ჩალა, მოაგროვა ვენახის ბოლოში მაღალი ბალახი და ამოუტანა ხარებს. ხარები მადიანათ შეექცეოდენ ნედლ ჩალასა და ბალახს. ნიკორა სიამოვნების ნიშნათ თავის გძელ კუდს აქეთიქით აქნევდა დინჯათ; კუდალა კი თავის წაჭრილ კუდს აქიცინებდა წარა-მარა, მაგრამ ბუზებს მისი კუდისა არ ეშინოდათ და თამამათ უძვრებოდენ ხან ცხვირში, ხან ყურებში, რასაც ნიკორას ვერ უბედავდენ. ელისაბედი და საჩინო შეუდგენ ყურძნის კრეფას. საჩინოს ორი საწნახელი ჰქონდა დამზადებული. მოკრეფილი ყურძენი გოდრებით მოჰქონდა და თეთრ ყურძენს ერთ საწნახელში აგროვებდა, წითელს მეორეში.

გიგლამ და თამრომ მონახეს საუცხოვო მსხვილ მარცვლებიანი ქართული, წამოუწვენ ვაზს ქვეშ და დაუწყეს ყურძენს ხარბათ ჭამა. როცა საკმაოთ იჯერეს გული და ვაზიც გასცალეს ყურძნისაგან, ზანტათ წამოდგენ ზეზე და მეორე ვაზს მიმართეს, შემდეგ მესამეს, მეოთხეს... ათვალიერებდენ სავსე მტევნებს და, რომელი მარცვალიც მოეწონებოდათ, იმას მოჰგლეჯდენ.

— იცი, თამრიკო, ახლა რა ვქნათ? წამოიძახა გიგლამ.

— რაა? დაეკითხა თამარი.

მოვგლიჯოთ გალმა ყანაში დიდი გოგრა, ამოვაცალოთ გული, ჩავყაროთ შიგ ყურძენი, დავწუროთ და ტკბილი ვსვათ.

— მერე რას გვეყოფა? საცაა, მამაც დაწურავს საწნახელში და მაშინ ბევრი დავლიოთ, მიუგო თამარმა.

— ერთხელ რომ არ გვეყოფა, კიდევ დავწუროთ, კიდევ და გვეყოფა. მერე როცა მამა დაწურავს, მაშინ ის დავლიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთხრა გიგლამ. თამარიც დაეთანხმა და ორივემ გასწიეს ყანისაკენ, რომ დიდი გოგრა მოენახათ, მაგრამ ამ დროს საჩინოს ხმა შემოესმათ.

— აჰაი, თქვე წუწკებო, თქვენა! გეყოფათ ამდენი ჭამა, ახლა მოდით და კრეფაში მოგვეხმარეთ. მეტი გზა არ იყო, ბავშებმა თავის განძრახვას გოგრაში ყურძნის დაწურვის შესახებ თავი დაანებეს, გამობრუნდენ უკან, მოჰკიდეს ხელი პატარა გოდორს და დაუწყეს ყურძენს კრეფა. შუადღეს გადაცილდა კიდეც და საჩინომ და მისმა ცოლშვილმა მთელი ვენახი გაჰკრიფეს. ორი მორჩილი საწნახელი საჩინომ ყურძნით გაამსო.

— აბა ახლა ვისადილოთ, ბარემ და მერე ჩავდგები საწნახელში, უთხრა საჩინომ ელისაბედს. ელისაბედმა გაშალა სუფრა და მთელი ოჯახი გარშემო შემოუსხდა ნასადილევს საჩინომ დაიბანა ფეხები, გადისახა პირჯვარი და ჩადგა საწნახელში. ბავშვები კი საწნახელში იყურებოდენ და ელოდენ, როდის გამოჩნდება შიგ ტკბილი, რომ დავლიოთო. საჩინო თავჩაღუნული სრესდა ფეხებით ყურძენს.

ელისაბედი ვაზებს ათვალიერებდა, ხომ არსად გამოგვრჩა მოუკრეფავიო. კუდალა და ნიკორა მხარ-თეძოზე წამოწოლილიყვენ და იცოხნებოდენ.

— მამილო, რუსები! წამოიძახა გიგლამ და საერთო სიჩუმე დაარღვია.

საჩინო შედგა და გზისაკენ გაიხედა. იქ ბოქაული იდგა თორმეტის დარაჯებით. საჩინო ცოტა გაკვირვებული დარჩა, რადგანაც ვერ წარმოედგინა, რა უნდოდა ვენახში ბოქაულს დარაჯებით.

— საჩინო გენძეხაძე შენა ხარ? მოესმა ამდროს საჩინოს ბოქაულის ხმა.

— მე გახლავარ, შენი ჭირიმე! უპასუხა საჩინომ.

— აქ მოდი! დაუძახა ბოქაულმა.

საჩინო გულის ჩოჩქოლით გადმოვიდა საწნახლიდან, ჩაიწია შალვარი, წადგა ფეხები წულებში და გასწია გზისაკენ, სადაც ბოქაული იდგა. ელისაბედსაც თვალი მოეკრა ბოქაულისათვის და მოაშურა ქმარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საღამო მშვიდობისა, მდაბლათ თავი დაუკრა საჩინომ ბოქაულს.

— შენ დაჭერილი ხარ და ჩვენ გამოგვყევი, გამოუცხადა ბოქაულმა საჩინოს და გაატრიალა ცხენი; თუ გაქცევა დააპირე, იქავე გაგაცხებიებთ სულს.

— რისთვის მიჭერთ შენი ჭირიმე, ვის რა დავუშავე? მიუგო საჩინომ.

— მაგას იქ გაარჩევენ, ეგ ჩემი საქმე არ არის, უთხრა ბოქაულმა.

— კაცი მე არ მამიკლავს, არავინ გამიქურდავს, ქურდი და ავაზაკი არ დამიმალავს და არ დამიფარავს და ნუ გამამიჭრი ცოლშვილს ყელს, შენი ჭირიმე, დაუწყო საჩინომ ბოქაულს მუდარა.

— ეგ მე არაფერი არ ვიცი. მოწერილობაა, რომ უნდა დაგიჭირო და წარგადგინო ციხეში, მორჩა და გათავდა! მოუჭრა სიტყვა ბოქაულმა.

— ამისთანა დროს, შენი ჭირიმე, კაცის მკვლელს შეიბრალებენ და მეც შემიბრალეთ. მოგეხსენებათ, რავარი დრო არის ახლა გლეხიკაცისათვის: მთელი წლის საარჩო ახლა უნდა შამოვზიდოთ სახლში. თუ ახლა გაცდა გლეხკაცი, ან ცოლშვილს რა უყოს, ან ხემწიფეს რითი ემსახუროს, ან ღვდელს, ან თქვენისთანა ჩინონიკ-კაცს, არ იშლიდა საჩინო.

— კანონმა დრო არ იცის, ხმა მაღლა დაიწყო ბოქაულმა: მოწერილობაა, რომ უნდა დაგიჭირო, მორჩა და გათავდა. ძალიან დაეძებს კანონი შენს ღვინოსა და ლობიოს!

— ორი დღე მაინც მადროვეთ, შენი ჭირიმე, რომ მოკრეფილი ყურძენი დავწურო, შეევედრა საჩინო ბოქაულს.

— ორი დღე კი არა, ორ წამსაც ველარ გადროვებ. აბა, წამოიყვანეთ! მოუბრუნდა ბოქაული დარაჯებს და გასწია თვითონ წინ.

— ე ჩოხა მაინც მამიტანე, დედაკაცო, მიუბრუნდა საჩინო ელისაბედს. ბავშვები გაიქცენ და მოარბენინეს ჩოხა. ელისაბედს ტირილი აუვარდა. დედის ტირილზე ბავშვებმაც ტირილი დაიწყეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გატირებთ, დაუწყო საჩინომ ცოლშვილს ნუგეშის ცემა, კანონი და სამართალი არც ისე მოსპობილა ქვეყანაზე, რომ ჩემისთანა უდანაშაულო და მართალი კაცი დასაჯოს. დამასმენდა ვინმე, გაიგებენ ჩემს სიმართლეს და გამამისტუმრებენ უკან.

— როდის იყო გლეხკაცისათვის კანონი და სამართალი, რომ ახლა იყოს? ტირილით მიუგო ელისაბედმა:—შენ იქ ჩაგლპობენ ციხეში და ჩვენ აქ უნდა დავიხოცოთ უპატრონოთ.

საჩინომ გადახედა სამსე საწნახლებს, თავის ცოლშვილს, კუდალასა და ნიკორას, რომლებიც უდარდელათ განაგრძობდენ ცოხნას, და თვალებზე ცრემლები მოადგა.

— აბა, წამოდი! დაუძახეს დარაჯებმა.

საჩინომ ნაღვლიანათ გადაავლო თვალი თავის ცოლშვილს, აიხედა ცისაკენ, გადიწერა პირჯვარი; უნდოდა, ცოლისათვის რაღაც ეთქვა, მაგრამ ველარაფერი მოახერხა, ჩაიქნია ხელი, გატრიალდა და გაუდგა გზას. დარაჯები უკან დაედევნენ ცხენებით. ელისაბედმა დაიწყო მწარეთ მოთქმა; ხან თავში იშენდა ხელებს, ხან მუხლებზე. გიგლა და თამროც სტიროდენ.

— დედა, სად წაიყვანეს მამაი? მოკრძალებით იკითხა რამოდენიმე ხნის შემდეგ თამარმა, მაგრამ ელისაბედს მისი სიტყვები არც კი გაუგონია, იმდენათ გამწარებული იყო.

— სად წაიყვანეს და ნაობახტში! მიუგო თამროს გიგლამ.

— ნაობახტში?! გაიკვირვა თამარმა; მერე რათ წაიყვანეს ნაობახტში?

— მე რა ვიცი! მიუგო გიგლამ.

ელისაბედის მოთქმაზე ამოვიდენ ვენახებიდან მეზობლები და დაუწყეს ნუგეშის ცემა: არა უშავსრა საჩინოს, ახლა ვის არ იჭერენო; გაიგებენ, რომ უდანაშაულო კაცია და გამოუშვებენო. ერთმა ახალგაზრდა ბიჭმა გაიხადა ქალამნები, დაიბანა ფეხები და ჩახტა საჩინოს საწნახელში ყურძნის საწურავათ. მეორემაც მიჰბაძა იმის მაგალითს, მეორე საწნახელში ჩადგა და დაუწყო ყურძენს წურვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

საჩინო გენძეხაძე საშუალო შეძლების გლეხი იყო. თავისი პატიოსნებით მთელს სოფელში საერთო პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული. არც ერთი სასოფლო საქმე ისე არ გადაწყდებოდა და არ გაკეთდებოდა, რომ საჩინოს არ მიეღო მონაწილეობა. სოფელში როცა მოძრაობა დაიწყო, საჩინო მთელმა სოფელმა ერთხმათ აირჩია ასის თავათ. თუმცა საჩინო მარტოხელი კაცი იყო და მთელი ოჯახი იმას აწვა კისერზე, მაგრამ თავის ახალ თანამდებობას ის პირნათლათ ასრულებდა. როდესაც ბევრგან ასისთავები დაიჭირეს, საჩინოსაც კი ექვი შეეპარა ბევრჯერ, ვაი თუ მეც დამიჭირონო, მაგრამ თვითონვე ინუგეშებდა ხოლმე თავს: ცუდი არავისთვის მიქნია, უსამართლობა არ ჩამიდენია და რას მერჩიანო. მართლაც საჩინოსათვის ხელი არავის უხლია. თითქმის ორმა წელიწადმა გაიარა ამის შემდეგ. საჩინო გულ დამშვიდებული იყო, მაგრამ ერთ დღეს საჩინო მაზრის უფროსთან მტრობით დაასმინეს: ყრილობებზე მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებს ღაპარაკობსო. მაზრის უფროსმა მაშინათვე შეატყობინა ბოქაულს: საჩინო გენძეხაძე დაუყოვნებლივ დაიჭირე და მე გამომიგზავნეო. ამ მოწერილობის ძალით დაიჭირა ბოქაულმა საჩინო სწორეთ მაშინ, როდესაც მას რთველი ჰქონდა.

შეპყრობილი საჩინო ბოქაულმა გააგზავნა საგუბერნიო საპყრობილეში. ციხე გატენილი იყო ტუსაღებით; ზოგი ახალგაზრდა იყო, ზოგი მოხუცი; ზოგი მხიარულობდა, ზოგი მოწყენილი იყო. პირველ ორ დღეს საჩინოსაც ძალიან მოეწყინა ციხეში: ოჯახის ჯავრი იმდენათ არ აწუხებდა ახლა, რამდენათაც უსაქმოთ დარჩენა. საჩინომ იცოდა, რომ მეზობლები იმის ცოლშვილსა და მოსავალს უპატრონებდენ, დარწმუნებული იყო, რომ მალე გაანთავისუფლებდენ, რადგანაც არავითარი დანაშაული მას არ მიუძღოდა, მაგრამ შრომას მიჩვეული იყო და, ციხეში რომ უსაქმოთ დარჩა, ეს აწუხებდა.

— რამდენიმე დღეს როგორ ვერ გავძლებ და მერე ალბათ გამანთავისუფლებენო, ჰფიქრობდა საჩინო. დღეებმა კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა—კვირეებმა გაიარეს და საჩინოს კი არავინ არ ანთავისუფლებდა.

— ნეტავი რა ამბავია ეს ჩემს თავზე, რომ ამდენს ხანს არ მანთავისუფლებენო, უკვირდა საჩინოს. ერთი თვის შემდეგ საჩინოს ციხის ზედამხედველმა ჩააბარა ქალალდი, სადაც ეწერა: გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით საჩინო გენძეხაძე იგზავნება არხანგელის გუბერნიაში პოლიტიკური დანაშაულობისათვისო.

საჩინო სახტათ დარჩა. მას ვერ წარმოედგინა, რომ ალალ-მართალ კაცს დაუკითხავათ და საქმის გამოუძიებლათ დასჯიდენ.

— ვთქვათ, ღირსი ვარ სასჯელის, მაგრამ ერთი მაინც რატომ არაფერი მკითხეს, მქონდა თუ არა ჩემი თავის გასამართლებელი საბუთიო, უკვირდა საჩინოს. ის ჯერ კიდევ არა ჰკარგავდა იმედს,—არ შეიძლება, რომ ჩემი სიმართლე არ გამოაშკარავდესო. გადასწყვიტა: ცოლისათვის მიეწერა წერილი, რომ ცოტაოდენი ფული ეშოვნა და შვილებიანა ჩამოსულიყო ქალაქში. საჩინო ჰფიქრობდა: დავაკავებიებ ჩემ შვილებს თხოვნას, ჩავსწერ შიგ ჩემ სიმართლეს, მივაგზავნი გუბერნატორთან და, რომ გაიგებს ჩემს სიმართლეს, გამანთავისუფლებსო. საჩინომ წერა არ იცოდა, დააწერინა მეორე ტუსაღს წერილი და გაუგზავნა ცოლს.

გავიდა ამის შემდეგ ორი კვირე. საჩინო მოუთმენლათ ელოდა თავის ცოლ-შვილს. გარდა იმისა, რომ მათი ნახვა ენატრებოდა და ოჯახის ავკარგის გაგება, გულდაიმედებულიც იყო: გუბერნატორი რომ ჩემ პატიჟრა გიგლასა და თამროს დაინახავს თხოვნით ხელში, მაშინათვე გამანთავისუფლებსო. იმ ოთახს, რომელშიაც საჩინო იმყოფებოდა, ფანჯარა ქუჩისაკენ ჰქონდა. საჩინო ხშირათ მიადგებოდა ფანჯარას და ქუჩისაკენ იყურებოდა: იქნება ჩემს ცოლშვილს თვალი მოვკრაო. ციხის გარშემო დარაჯებათ ჯარის კაცები დგანან ხოლმე თოფებით. ტუსაღებს ფანჯრებში გახედვის ნება არა აქვთ. თუ ტუსაღმა ფანჯარაში გაიხედა, ჯარის კაცმა კი სამჯერ შენიშვნა მისცა და ტუსაღი მაინც ფანჯარას არ მოცილდა, ჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის კაცს კანონით უფლება აქვს, ტუსაღს თოფი ესროლოს და მოჰკლას.

ერთ დღეს საჩინო ფანჯარასთან იდგა და ქუჩაში იყურებოდა.

– Эй, кацо, отойди! მოისმა ჯარის კაცის ყვირილი.

— რა გინდა, რუსო? გადასძახა ღიმილით საჩინომ.

— Отойди, не слышишь? დაიყვირა კიდევ ჯარის კაცმა.

— კაცო, მოშორდი მაგ ფანჯარას, თორემ თოფს გესვრის! გააფრთხილა საჩინო ამხანაგმა, რომელიც ამ დროს ოთახში შამოვიდა.

— რისთვის მესვრის თოფს? მე რომ აქ ვიდგე ფანჯარასთან, იმას იქ რა დაუშავდება? გაიოცა საჩინომ.

— Отойди, тебѣ говорятъ! დაიღრიალა ჯარის კაცმა.

— რა გინდა, რუსო, რა? რას გიშავებ?—გადასძახა საჩინომ.

— კაცო, მოშორდი მეთქი, რაზე აკვლევინებ მაგ ოხერს თავს,—გაუმეორა ამხანაგმა და წასწვდა საჩინოს ჩოხის კალთაში, რომ აქეთ გამოეწია, მაგრამ ამ დროს იგრიალა თოფმა და საჩინო ძირს გადმოვარდა: ტყვია მარჯვენა თვალში მოხვედროდა და უკან კეფაში გასულიყო. რამდენიმე წამს იცოცხლა საჩინომ და განუტევა სული ისე, რომ ხმა არ ამოუღია. ციხეში დიდი აურზაური ასტყდა. ტუსაღები ძალიან ააღელვა ამ შემთხვევამ. ზოგი თავის აღელვებას ყვირილით და გინებით გამოჰხატავდა, სხვები კი გულდამწვარი ამბობდენ:

— რა ცხოვრებაა ჩვენი ცხოვრება, ძაღლათაც არ გვაგდებენო.

ციხის ზედამხედველმა ჯარის კაცები შემოიყვანა წესიერების აღსადგენათ. ტუსაღები თავთავის ოთახებში ჩაამწყვდიეს.

— დაწყნარდით, დაწყნარდით, თორემ თოფებს დაგიშენთ! ჰყვიროდა ზედამხედველი; ახია თქვენზე, სულ ყველა დასახოცი ხართ.

საჩინო მიცვალებულთა ოთახში ჩაიტანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

სანამ საჩინოსაგან წერილს მიიღებდა ელისაბედი, ამბავმა რომ დაიგვიანა, მაინც აპირებდა ქალაქში ჩასვლას: თუ ვერაფერს გავარიგებ, იმას მაინც გავიგებ, ცოცხალია ის კაცი, თუ მკვდარია. მიიღო თუ არა წერილი, მაშინათვე შეუდგა მზადებას, ღვინო გაყიდა, სიმინდი, ცოტაოდენი ფული თვითონა ჰქონდა, მოაგროვა ათ თუმნამდე, დაამზადა პურები, ყველი, რამდენიმე მოხარშული დედალი; გიგლასა და თამროს დაუკერა ტანისამოსი და გაუდგენ გზას.

რკინის გზის სადგურამდე საჩინოს სახლიდან რამდენიმე საათის გზა იყო ფეხით სასიარულო. გიგლა და თამარი ძალიან მხიარულათ მოდიოდენ, რადგანაც მამის ნახვაც ენატრებოდათ და რკინის გზით მოგზაურობაც.

— დედაჩემო, მალე ვნახავთ მარშინას?—ეკითხებოდა გზაზე გიგლა ელისაბედს.

— შენ მარშინის ნახვა უფრო გენატრება, მგონია, მამიშენის ნახვაზე, შეგარცხვინა ღმერთმა!—უსაყვედურა ელისაბედმა.

გიგლამ მორცხვათ თავი დაღუნა და შემდეგ წაილაპარაკა:

— მამის ნახვაც მენატრება და მარშინისაც.

— დედა, რავარი არის მარშინა?—დაეკითხა ელისაბედს თამარი ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— აგერ მივალთ და დაინახავ, რავარიც არის!—მიუგო ელისაბედმა.

— რავარია და შავია!—აუხსნა დას გიგლამ.

— ჰი, შავია! როდის ნახე, შავია, თუ თეთრი?—უპასუხა თამარმა.

— მე თუ არ მინახავს, ივანეს ილიას ხომ უნახავს? შენ უკვეთ იცი იმაზე?—თავმომწონეთ მიუგო გიგლამ.

— მერე ილიამ რა გითხრა?—დაეკითხა ცნობის მოყვარეობით თამარი.

— რა მითხრა და მარშინა შავიაო, დიდი თვალები აქვსო, ძალიან ყვირისო და ისე მირბის, ისე, ისე რომაო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც უნდა კარგი ცხენი იყოს, მაინც ვერ დაეწევაო,—სთქვა გიგლამ.

ამგვარის მუსაიფით ბავშვებმა მთელი მანძილი გაიარეს და სადგურზე მივიდენ. მატარებელი უკვე გამზადებული იყო. ორთქლმავალმა გიგლა და თამარი ძალიან გააოცა. ხან ერთი გვერდიდან ათვალიერებდენ, ხან მეორედან, ხან წინიდან. ელისაბედმა იყიდა ბილეთები, ჩაჯდა შვილებიანა მატარებელში; მალე მატარებელიც დაიძრა და გაუდგენ გზას. მატარებლით მოგზაურობა ძალიან მოეწონათ გიგლასა და თამროს. ისინი ფანჯარას არ მოსცილებიან, სანამ კარგათ არ დაღამდა. გიგლაც და თამარიც პირველათ დარწმუნებული იყვენ, რომ ხეები და სახლები გარბოდენ და უკვირდათ, ეს რა ნაირი ხეები და სახლები ყოფილა აქეთო. შემდეგ და შემდეგ, თვალი როცა მიაჩვიეს, დარწმუნდენ, რომ ხეებიცა და სახლებიც თავთავის ალაგას იდგენ.

— შეხე, შეხე, თამრიკო, როგორ გარბიან იქით ხეები! ანიშნა თამარს გიგლამ.

— დიახ, გარბიან! მიუხვდა თამარი: ვერ მოგართვი, ვერ მომატყუებ!

ბავშვები დაიქანცენ, ძილი მოეკიდათ. ელისაბედმა აჭამა საჭმელი და შემდეგ ორივეს მიეძინათ. ელისაბედმაც წაიძინა, მაგრამ ხშირათ იღვიძებდა ხოლმე.

დილით ადრე ჩვენი მგზავრები უკვე ქალაქში იყვენ, დაიბანეს სადგურზე პირი, გასწიეს ციხისაკენ და კითხვა-კითხვით მიაგნეს, თუმცა ძალიან გაუჭირდათ. ციხის კარებთან ხალხი ბლომათ იყო მოგროვილი, მაგრამ ჯერ არავის უშვებდენ შიგ. რამოდენიმე ხნის შემდეგ გაიღო კარები. ელისაბედს გულმა ძანძგალი დაუწყო. ბავშვებიც მოუთმენლათ ელოდენ მამის ნახვას. წინა დღით მოკლული საჩინო კი კუბოში ესვენა და ამ დღეს უპირებდენ დამარხვას. სხვებთან ერთათ ელისაბედიც შევიდა ციხეში თავისი შვილებით; დაიწყო აქეთ-იქით ყურება, მაგრამ საჩინოს ვერსად მოჰკრა თვალი. ბოლოს მოკრძალებით მიმართა ისევ მეკარეს:

— საჩინო გენძეხაძე სადანა არის, შენ გენაცვალე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი იქ წადი და დაუძახებენ! ანიშნა ციხეში შესავალ კარებისაკენ მეკარემ და მოიშორა თავიდან. ელისაბედმა გასწია იქითკენ, დაიწყო აქეთ-იქით ცქერა, ტუსაღები ბევრი დაინახა, მაგრამ მათ შორის საჩინო არსად მოჩანდა. ელისაბედი იდგა მოწყენილი და არ იცოდა, ვისთვის მიემართა.

— შენ რას ატუზულხარ აქ? დაეკითხა ციხის ზედამხედველი, რომელიც ამდროს ოთახიდან გამოვიდა.

— საჩინოს ცოლი გახლავარ, გენძეხაძის, მოკრძალებით უპასუხა ელისაბედმა.

— საჩინო გენძეხაძის? ის მოკვდა! მკვახეთ უთხრა ზედამხედველმა.

ელისაბედმა კანკალი დაიწყო, ის თავის ყურებს არ უჯერებდა. ბავშვები გაფითრდენ და დედას შეაჩერდენ.

— რას მიბრძანებთ, თქვენი ჭირიმე? წამოილუღლუღა ელისაბედმა.

— რას გიბრძანებ და იმას გიბრძანებ, რომ საჩინო გენძეხაძე გუშინ მოკვდა. თუ გინდა გაჩვენებენ, მაგრამ ღრიალი არ დაიწყო თქვენებურათ, თორემ გარეთ გაგაგდებთ. წარმოსთქვა ზედამხედველმა და მოსამსახურეს უბრძანა: ეს ქალი მიცვალებულთა ოთახში წაიყვანეო.

ელისაბედი უკან გაჰყვა კანკალით მოსამსახურეს, მაგრამ კიდევ იმედი ჰქონდა: ან მატყუებენ, ან მემასხრებიანო. მოსამსახურემ შეიყვანა ელისაბედი ოთახში, საცა საჩინო ესვენა. კუბოს დანახვაზე ელისაბედს მუხლები ჩაეკეცა და ჩაჯდა; შემდეგ მოიკრიფა ძალღონე, მივიდა კუბოსთან, ახადა თავი და დააჩერდა,

— საჩინოვო, ერთი დაიწივლა საცოდავმა და დაეკონა გულზე თავის გაცივებულ საჩინოს.

— მამილო! ერთათ წამოიყვირეს გიგლამ და თამრომ და დაიწყეს გულამომჯდარი ტირილი.

ივ. გომართელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე ვ ა ვ ი.

(თქმულობა)

ჩრდილოეთისკენ, სადაც ზღვის პირას მიუწდომელი სალი მთებია ამართული და ხშირი ფიჭვნარი, ძველ დროს ამ მთებ შუა, ფიჭვის ტყეებში აგებული იყო მაღალი ციხე-დარბაზები.

ერთ ამ ციხე-დარბაზში, რომელიც მდიდარ ბარონ ანსვალდს ეკუთვნოდა, მრავალი სტუმარი იყო შეკრებილი. რამდენიმე დღეა თვითონ ანსვალდი და მასთან ყველა რაინდები, გრაფები და ბარონები თავისი მხლებლებით სანადიროთ გადიოდნენ. საღამობით ბრუნდებოდნენ და თან აუარება ნანადირევი: ტახები, ირმები, ჯიხვები და სხვა გარეული პირუტყვი მოჰქონდათ.

სხვა და სხვა სასმელებით და საჭმელებით სავსე სუფრას მოუსხდებოდნენ და დიდ ხანს ბაასში და სმაში დროს ატარებდნენ.

ამ დღესაც ბლომათ ნანადირევი მოიტანეს. როდესაც შიმშილი დაიკმაყოფილეს ზარმაცათ შეექცეოდნენ დანარჩენ საჭმელებს და სასმელებს, რომელიც მოსამსახურებს მოჰქონდათ. მასპინძლის გვერდით პატივსაცემი სტუმრები ისხდნენ: მარცხნივ რაინდი დუნკანი, მარჯვნივ მოხუცი გრაფი სვენი.

რაინდ დუნკანს, „სასტიკს დუნკანს“ უძახდნენ იმიტომ რომ სულ ჩაფიქრებული და დაღვრემილი იჯდა. ამისი ეშინოდათ მეზობლებსაც და მოსამსახურებსაც; თუმცა კი ვერც ერთი ვერ იტყოდა, რომ იმისაგან რამე უსამართლობა ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყენა მიელო. მხარზე დუნკანს დიდი შავი ყვავი უჯდა, რომელსაც აჭმევდა. ეს ყვავი შეჩვეული იყო. დუნკანმა როდესაც ახალგაზრდა იყო შეიჩვია, პატრონს ყველგან თან დასდევდა — სტუმრად და ომშიაც კი. არა თუ მარტო დუნკანის ნათქვამი ესმოდა, თითონაც კი რამდენიმე სიტყვა შეისწავლა; ყვავი ყველაზე გარკვევით სიტყვა „ვოლდემარს“ იძახოდა. ასე ერქვა დუნკანის ერთად ერთ ვაჟს.

გრაფ სვენი იყო ჭალარა მოხუცი, გრძელ ულვაშებიანი. ის თავის სავარძელში თავ ჩაღუნული იჯდა. ბევრს ეგონა, რომ სთვლემს, მაგრამ ის მარტო ღრმად ჩაფიქრებული იყო. გრაფი ძალიან შეწუხებული იყო თავისი უფროსი შვილის, გორმის საძაგელი საქციელით; ყმაწვილი გართული იყო უზნეო და დაცემულ ტოლ-ამხანაგებში. არა რცხვენოდა არც გლეხის, არც ვაჭრის და გზათ გამვლელის გაცარცვა. ხშირათ მამა უსაყვედურებდა ხოლმე და ემუქრებოდა, რომ გადააყენებს მემკვიდრეობიდამ და მთელ მამულს და სიმდიდრეს უმცროს ვაჟს ოლაფს დაუტოვებს. გორმი ამ მუქარამაც ვერ გაასწორა და თავისი უმცროსი ძმა ძალიან შესძულდა. აი რაზე იყო ასე ჩაფიქრებული მოხუცი გრაფი.

მოხუცნი და რაინდნი სუფრას უსხდნენ დიდ სასტუმრო ოთახში. იმათი შვილები გარეთ ეზოში თავიანთ მხლებლებით და მოსამსახურეებით თამაშობდნენ. ამათში ერია დუნკანის ერთად ერთი შვილი ვოლდემარი და სვენის ვაჟები გორმი და ოლაფი. ისინი „ომიანობას“ თამაშობდნენ. იმ დროს ომიანობა იყო რაინდების ერთად ერთი საქმე; „ომიანობა“ ბავშვების საყვარელი სათამაშო და გასართობი იყო. მოთამაშენი ორ ბანაკად გაიყვნენ, ერთი მეორეს შეეტაკებოდა ხოლმე, მომეტებული ნაწილი კეტებით იყვნენ შეიარაღებული და ისე გართული იყვნენ, რომ ერთმანერთს არ ზოგავდნენ, როგორც ნამდვილ მტრებს. ზოგს სახე ჰქონდათ დალურჯებული, ზოგი დედა-მიწაზე დაეცნენ და საშინლად ყვიროდნენ, რომ არ გაეჭყლიტათ ერთმანეთი. ზოგიერთი გონიერი ყმაწვილი ურჩევდა მათ დაწყნარებულიყვნენ და ფრთხილად ყოფილიყვნენ, რომ არავისთვის არა ევნოთ რა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებრძოლთ არავისი რჩევა არ ესმოდათ. ორი ყმაწვილი—ბრუნო, გორმის მოსამსახურე, და სასახლის მოურავის შვილი რალფი ერთმანერთს შეებრძოლნენ და კეტის წართმევა უნდოდათ. ბრუნომ ხელიდამ კეტი გამოჰგლიჯა რალფს, თავი ველარ შეიმაგრა, კომბალი ხელიდამ გაუვარდა და დუნკან ს შვილს ვოლდემარს შიგ თავში მოხვდა. ვოლდემარი იქვე ულსულოთ დედამიწაზე დაეცა. ყვირილით მისცვივდნენ ამხანაგები, აყენება უნდოდათ, წყალი შეასხეს, იარაზე სველი ხელცახოცი მიაფარეს, მაგრამ ვოლდემარი გონს ველარ მოვიდა. ის მკვდარი იყო.

იმ დროს, როდესაც შეშინებული ამხანაგები ვოლდემარს მისცვივდნენ, საშინელი ჩხავილი მოისმა, ბევრმა ყურადღება არ მიაქცია ამ ფრინვლის ყვირილს, მაგრამ ზოგმა კი გაიგონა, რომ ვოლდემარს იძახის. ეს იყო დუნკანის მოშინაურებული ყვავი.

კარში ხმაურობა მისწყდა. ყველანი შიშმა მოიცვა, ვერც ერთი ვერ ბედავდა სასახლეში შესულიყო და ეს უბედური შემთხვევა ეამბნა. გორმს საზიზღარი აზრი მოუვიდა თავში, ცალკე გაიხმო თავისი რამდენიმე მეგობრები.

— სთქვით, რომ ოლაფმა მოჰკლა ვოლდემარი.

— რათა? რისთვის? იმისი ბრალი არ არის!—სთქვეს ამხანაგებმა.

— როგორ არ გესმისთ?—უპასუხა გორმა ნამდვილი დამნაშავის სახელი რომ ვსთქვათ, იმას სიკვდილით დასჯიან რადგან კეთილ-შობილი არ არის, უბრალო მოსამსახურეა და არა რაინდის შვილი. ოლაფი რომ დავასახელოთ, იმას არაფერს არ უზამენ, რადგან მამა თავის საყვარელ შვილს არ დაასჯეინებს.

მეგობრები ჩაფიქრდნენ, გორმი კი აჩქარებდა:

— მალე გადასწყვიტეთ, უბრალოთ დროს ნუ ვკარგავთ. ბრუნო ჩვენი მეგობარია და უნდა დავიხსნათ. განა მე თქვენ გირჩევდით ამისთანა საქმეს, დარწმუნებული რომ არ ვიყო, ოლაფს არაფერი სასჯელი არ მოელის? ვინც თანახმაა ხელი მომეცით.

ერთმა კრძალვით ხელი გაუშვირა გორმს, იმას მეორე მოჰყვა, მესამე, უფრო გათამამდა.

— დაიფიცეთ, რომ ეს საიდუმლო ჩვენში დარჩება და სხვას არავის ეცოდინება, — სთქვა გორმა.

ყველამ დაიფიცეს.

ამ დროს ყვავი დაბრუნდა ოთახში და სუფრას გარშემო დაიწყო ტრიალი, თან საშინლად ჩხაოდა: „ვოლდემარ, ვოლდემარ!“ დუნკანი გაფითრდა.

— ჩემ შვილს უთუოდ რამე უბედურება შეემთხვა, — სთქვა მან და ფეხზე წამოდგა.

იმას სტუმრებიც აჰყვნენ. ბევრი სარკმელთან მივიდა და ეზოსკენ ცქერა დაიწყო.

— მართლაც, რომ რაღაც მომხდარა, — სთქვა ერთმა იმათგანმა, როცა ნახა, რომ ყველანი ერთ ადგილს შეჯგუფულიყვნენ.

დუნკანი ეზოში გამოვიდა. იმას აღელვებული ანსვალდი, გრაფი სვენი და სხვები გამოჰყვნენ.

ბრბო გაიფანტა და მკვდარი ვოლდემარი დაინახეს. დუნკანმა კრინტი არ დასძრა, მაგრამ სახეს საშინელი გამომეტყველება დაეტყო, შვილის წინ დაიჩოქა, ხელი გულზე დაადო და თავი აუწია, გაშტერებული და სასოწარკვეთილებით დააშტერდა, თავის საყვარელ მკვდარ შვილს.

— ვინ ჩაიდინა ეს საზიზღრობა?.. — წამოიყვირა საშინელის ხმით ანსვალდმა, — ვფიცავ, ეხლავე მივცემ ხელში დუნკანს ჩემი უსაყვარელესი შვილიც რომ იყოს.

— მეც ვფიცავ, — სთქვა მეორე რაინდმა, იმფრიდმა, — რომ თუ დამნაშავე ჩემი შვილი გამოდგა კრინტსაც არ დავძრავ იმის დასაცველათ.

იგივე ფიცი ყველა სტუმრებმა წარმოსთქვეს.

— დაასახელეთ რაღა, მკვლელი!.. ვინ ჩაიდინა? — სასტიკად ჰკითხა ანსვალდმა.

ყველანი გაჩუმებულიყვნენ. ნამდვილი დამნაშავენი, რალფი და ბრუნო მიიმალნენ. ბევრს არც კი დაუნახავს კეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ ისროლა, გორმის ამხანაგები კი ვერ ბედავდნენ სიცრუის თქმას. ბოლოს გორმის ხმა მოისმა.

— ეს უცაბედათ მოხდა,—სთქვა მან,—არავინ დამნაშავე არ არის, თუ ბარონ ანსვალდი, ჩვენი მასპინძელი თხოულობს, რომ უცაბედი დამნაშავე დავასახელოთ, უნდა ვსთქვა, რომ ეს საქმე ჩაიდინა ოლაფმა.

ყველამ ოლაფს შეხედეს, ზოგის სახეზე სიბრაზე გამოიხატებოდა და ზოგისაზე კი სიბრალული; ბევრმა მამებმა სუბუქათ ამოისუნთქეს, როდესაც დარწმუნდნენ, რომ იმათი შვილები დანაშაული არ იყვნენ. ამავე დროს ყვავი თავზე დასტრიალებდა ხალხს და ხმამაღლა ყვიროდა. დუნკანმა, რომელიც შეჩვეული იყო იმის ლაპარაკს გაარჩია:

— ტყუილია, ტყუილი...

მეორებმა მისი ყვირილი ვერ გაარჩიეს.

ოლაფი ჯერ კიდევ სულ ბავშვი იყო, მომცრო ტანისა, ვიწრო გულ-მკერდი, გამხდარი კისერი, ნაზი პირის კანი. როცა ეს სიტყვები გაიგონა, ტანში შეაზრიალა, თავისი ლამაზი, დიდრონი ბავშური თვალებით შეხედა ძმას და წაიბუტბუტა:

— რას ამბობ, გორმ?..

— მართალია? კიდევ ვინ დაინახა?—იკითხა ანსვალდმა.

— მართალია. მე! მე! მე დავინახე...—უპასუხა რამდენიმე ხმამ.

— ტყუილია, ტყუილი,—გამწარებული ჩხაოდა ყვავი.

ოლაფი მამისკენ გაექანა და მფარველობას სთხოვდა, მაგრამ მოხუცი სვენი თავზარ დაცემული იდგა და ხმას არ იღებდა.

დუნკანი წამოდგა. მოსამსახურეებს უბრძანა შვილის გვამი აეწიათ და წასასვლელად მომზადებულიყვნენ.

ოლაფი ძლივს მოაშორეს მამას და დუნკანის სასახლეში წაიყვანეს.

ეკ. მ—სა.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბუნ-დეიზინ“

ამბავი იაპონელი ბავშვისა, რომელმაც მოინდომა პირველი ვაჭარი გამხდარიყო იაპონიაში.

მოთხრობა ჯენზეი მურაისა.

VI. საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა.

ბუნკიჩიმ სხვების დახმარებით ამოსწია ნავი; ამოასხეს იქიდან წყალი, ჩასხდენ შიგ და შეცურდნენ ისევ ზღვაში. ნათელ-თევზას, რომელსაც ზღვის ტალღები აქეთ-იქით აქანებდა, მოაბეს თოკი და მიაცურეს კლდის ძირში. როდესაც ბუნკიჩი შინისაკენ აბრუნებდა ნავს, სხვები მოებნენ თოკსა და ნათელ-თევზა რის ვაი-ვაგლახით გამოათრიეს ნაპირას. სასაცილო სანახავი იყო ის დედაბერიც, რომელიც რაც ძალი და ღონე ჰქონდა ეწეოდა თოკსა.

ამ ვაჟ-კაცური ამბის შემდეგ ბუნკიჩის სახელი მოედო მთელ ქალაქ კუმანოს; აქებდნენ და ადიდებდნენ მას და სახელათ ვანი-ზამ-კოზო ანუ ნათელ-თევზა ბავშვი უწოდეს. ბუნკიჩის ამ გმირულმა ამბავმა ოდეიკანის *) ყურამდისაც მიაღწია; იგი მაშინათვე წავიდა ზღვის პირას და გულ-მოდგინეთ შინჯვა დაუწყო იმ საშინელებას. ქალაქის ამ ულბედურებისაგან დახსნისათვის პროვინციის უფროსმა ბუნკიჩი ათი ვერცხლის ფულით დააჯილდოვა. ბუნკიჩის პატრონი დიდათ ამაყობდა ამითი. ქალაქის მცხოვრებლების სიხარულს ხომ საზღვარი არა ჰქონდა.

მოკლული ნათელ-თევზა სიგძით სამ კენზე **) ცოტა

---

*) ძველათ იაპონიაში ადგილობრივ უფროს მოხელეს უწოდებდნენ.

**) კენი 18 ფუტს უდრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი უნდა ყოფილიყო; ამისი ტყავი კი ისეთი სქელი და მაგარი იყო, რომ კარგი მჭრელი ხმალიც კი ვერას დააკლებდა. იარაღების მკეთებლები ერთი მეორეზედ მომეტებულ ფასს შეაძლევდნენ ამ ტყავში, რადგანაც დარწმუნებულები იყვნენ, რომ ამ ტყავიდგან საუცხოვო ქარქაში გამოუვიდოდათ ხმლებისა და ხანჯლებისათვის.

ბუნკიჩმა სთხოვა ვაჭარს მისი გაყიდვა; დაიწყეს შევაჭრება და აღებული ფული ვაჭარმა უკლებლათ ბუნკიჩის გადასცა, როგორც ჯილდო ამ ვაჟ-კაცური საქციელისთვის. ჭაბუკი არც კი მიეკარა ამ ფულს. მას გაგონილი ჰქონდა, რომ მეზობელი მეთევზეები ძალიან გაჭირებაში იყვნენ ჩაცვივნულნი ამ დაწყევლილი ნათელ თევზასაგან და შემოსული ფული ბუნკიჩიმ მათვე გადასცა.

ბუნკიჩი ამ ამბავმაც ყველას თვალში უფრო აამაღლა; ამ საქციელმა ყველანი გააკვირვა და გააოცა და დაარწმუნა კიდეც, რომ მას გარდა მამაცობისა, ზნეობითი ღირსებაც ჰქონია. ვანი-ზამ კოზოს სახელს კიდევ ერთი სახელიც მოემატა, სახელი სამა, რაიცა ნიშნავს ბატონს. ამის შემდეგ ბუნკიჩი გამოვიდოდა თუ არა ქუჩაში, ყველანი უცნობნი, თუ ნაცნობნი თავაზიანათ ექცეოდენ მას, რომ უფრო ძლიერათ გამოეხატათ თავიანთი მადლობა და პატივისცემა ამ გასაკვირალი ყმაწვილისადმი.

ბუნკიჩიმ სახელი თან და თან გაითქვა, საიდგან არ გინდა, რომ დაიკოვუის სავაჭრო სახლს ხალხი არ მისწყდომოდა და არ ენახა თავის თვალით ეს გმირი ბავშვი. ამ დროიდგან სახლის ვაჭრობამ ერთი ორად იმატა. ვაჭარმა არ იცოდა რითი გადაეხადნა მადლობა ბუნკიჩისათვის ამ გვარი სიკეთისათვის. მას მთელი ოჯახი თავს ევლებოდა, ვაჭარი საკუთარ შვილებში არ არჩევდა. ყველა ამას კარგათა ჰხედავდა ბუნკიჩიც და გულმოდგინეთ ეკიდებოდა ვაჭრის საქმეს.

მიუხედავათ იმისა, რომ ვაჭარი უშლიდა—ბუნკიჩი ყველაზედ ადრე ადგებოდა ხოლმე, მაღაზიის წინ ქუჩას მიგვიმოჰგვიდა, გააღებდა მაღაზიას და ყველაზედ ადრე იწყობდა ხოლმე ვაჭრობას. საღამოთი იანგარიშებდა დღიურ შემოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალს, დაჰკეტავდა მაღაზიას და დანარჩენ დროს ანგარიშს და ჩინურ ასოების შესწავლას ანდომებდა ხოლმე. ამგვარი ყოფაქცევა ბავშვისა ყველას უკვირდა.

ასე გავიდა სამი თვე. ბუნკიჩის სახელი უფრო და უფრო გაითქვა, ოჯახის კეთილ-დღეობა გაძლიერდა. მაშინ ვაჭარმა ველარ მოითმინა და თავის ჯალაბობას მიმართა ასე:

— რადგანაც ჩვენ ვაჟი-შვილი არ გვაღირსა ღმერთმა, უეჭველია, დღესა თუ ხვალ უნდა ვინმე ვიშვილოთ. მე არ მინდა სახლში ისეთი ვინმე შემოვიყვანო, რომლის ზნე და ხასიათი არ ვიცოდე. ჩემის აზრით, სჯობია ბუნკიჩი ვიშვილოთ. რას იტყვი ამაზედ?—ჰკითხა ცოლს.

ცოლი ამ წინადადებით აღტაცებაში მოვიდა და ასე უპასუხა:

— მე დიდი სიამოვნებით გეთანხმები; ბუნკიჩი სწორეთ ისეთია, რომელსაც შეგიძლიან ყოველი საქმე მიანდო. ნეტავ იმ დღეს მოვესწრობოდე, რომ ეს აგრე მოხდეს. ნუღარ იგვიანებ, დაიწყე ეხლავე საქმე.

ვაჭარი რამდენიმე წუთს ფიქრმა წაიღო და შემდეგ უთხრა ცოლს:

— იცი, საქმე რაში არის? მას ხომ სურვილი აქვს დიდი ვაჭარი შეიქმნას იაპონიაში და მით აღამაღლოს პატივი თავისი წინაპრებისა, და აი სწორეთ ამისთვის იგი არ დასთანხმდება ჩვენს წინადადებაზედ. მე მგონია, რომ ჩვენს განძრახვას სწორეთ ეს გარემოება გადაეღობება წინ.

— კარგი, ჩემო ძვირფასო, და ჩვენ ხომ რაც რამ გვაბადია ყველაფერს მაგას გადავცემთ და ეს გარემოება, უეჭველია, აიძულებს დასთანხმდეს ჩვენს წინადადებაზედ.

— არა, არა მგონია,—უთხრა იმან და თავ-ჩაქინდრულმა დაიწყო ფიქრი;—იგი ჩვენს ქონებას არაფერ მნიშვნელობას არ მისცემს; ყველა ამას მის თვალში მნიშვნელობა არ ექნება. მე არ მინდა მისი უარის თქმით შევირცხვინო თავი. როგორმე უნდა გამოვათქმევინო თავისი განზრახვა.

სადაკიჩიმ, რომელიც ქალიშვილთანა თამაშობდა, ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალაპარაკევი გაიგონა და მალე ყველაფერი ბუნკიჩის უამბო. ამ უკანასკნელმა გაიფიქრა:

— ჩემი განძრახვა იყო მომეპოებინა ცხოვრებაში დიდება და მით ამემაღლებინა სახელი ჩემი წინაპრებისა და ახლა მე, განა, სხვის შვილობაზედ უნდა დავთანხმდე? არა, ეს შეუძლებელია! შეიძლება, ჩვენ შორის რაიმე უსიამოვნება დაიბადოს—ჩემი აქ დარჩენა მოუხერხებელია; შესაძლებელია, აქ დარჩენამ იმ მდგომარეობაში ჩამაყენოს, რომ იძულებული გავხდე დავთანხმდე მათ წინადადებაზედ. ამისთვისაც სჯობია ახლავე მივატოვო ეს სახლი და წავიდე სადმე ბედის საძიებლათ.

ერთ საღამოს მან მოძებნა ვაჭარი და უთხრა:

— ჩემო ბატონო! მე თქვენ უნდა მოგმართოთ ერთი მოულოდნელი თხოვნით: მე მოვიაზრე, რომლის შემწეობითაც შემიძლია ფული ვიშოვნო. გთხოვთ ნება მომცეთ—ცალკე ვაჭრობა დავიწყო. საქმის დასაწყისათ საკმარისი იქნება ის ჯილდოთ მოცემული ვერცხლის ფული, რომელიც თქვენა გაქვთ მობარებული.

ვაჭარი ვერ მიუხვდა მის საიდუმლო განძრახვას და უთხრა:

— თუ შენა გსურს ცალკე ვაჭრობის დაწყობა—მე შემიძლიან გასესხო ამ საქმისათვის საჭირო თანხა, ან დაგეხმარო რითაც კი მოინდომებ, მაგრამ მითხარი კი რა არის შენი განზრახვა?

— აი საქმე რაშია, ჩემო ბატონო: მას შემდეგ რაც ვანიზამი მოვკალი, ხალხი ბევრს თევზს იჭერს და მე როგორც გავიგე—ძალიან საჭიროა თევზის საჭერი იარაღები, ბადე და მისი კუთვნილებანი. ამისთვისაც მე მინდა წავიდე ოსაკაში და იქიდგან მოვიტანო ყველა ეს.

ვაჭარმა დაჰკრა ტაში და უთხრა:

— მშვენიერი განძრახვაა, ჩემო კარგო; თუ შენ ეხლა ოსაკიდგან მოიტან ამ იარაღებს, უეჭველია, დიდ მოგებას ნახავ. ამის გარდა აქაურმა მეთევზეებმა შენგან დიდი მოწყალება მიიღეს და ღმერთად მიაჩნიხართ. იმათ რომ გაიგონონ, რომ შენ თევზის დასაჭერ იარაღებსა ჰყიდი, დიდი სიამოვ-

ნებით მოვლენ შენთან სავაჭროთა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ განძრახვის შესრულებას მარტოკა შენ ვერ შესძლებ, მე გაგაყოლებ გამოცდილ კაცებს და ამასთანავე სესხათ ფულსაც მოგცემ. აბა, ახლა კი წადი და მზადებას შეუდექი.

ბუნკიჩის სრულებითაც არ უნდოდა ამისთანა დახმარება. მისი სურვილი იყო თავის თავათ გაეკვლია განძრახულ ვაჭრობის გზა.

— თუ შეიძლებოდეს, ბატონო, ნება მომეცით ჩემდა თავათ, საკუთარი ფულით დავიწყო საქმე. ერთსა გთხოვთ მხოლოთ—როდესაც სავაჭრო მომივა, ნება მომეცით ეს სავაჭრო თქვენს ერთ-ერთ საკუჭნაოში დავაწყო.

ვაჭარმა კარგათ იცოდა, რომ ვლარაფერს გააწყობდა, რადგანაც ბუნკიჩი მტკიცე ხასიათის ყმაწვილი იყო და კაცი იმას ვერას გადაათქმევინებდა და უთხრა:

— კარგი, რახან არ დაგიშლია, ისე იყვეს, როგორც შენ გინდოდეს. ამას კი გეტყვი, რომ არც ერთი ყმაწვილი შენ ხანში ვერ შესძლებს მაგგვარი საქმის ასრულებას, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.—სთქვა ესა და შევიდა ოთახში ფულის გამოსატანათ.

— აი შენი მობარებული ფული. მერე ამოიღო მეორე ჯიბიდგან ფული და შესთავაზა ყმაწვილს,—იმედი მაქვს ამ მცირე ფულსაც მიიღებ იმ შრომაში და დავალებაში, რომელიც შენ ჩემთვის გაგიწევია.

ბუნკიჩი ძალიან უარზე იყო, მაგრამ ვაჭარმა ძალათ მიაღებინა.

— როდესაც ოსაკიდგან დაბრუნდები, უეჭველია, ისევ ჩვენთან იცხოვრებ. ბუნკუჩიმ პასუხათ ვერაფერი მოახერხა ამის მეტი:

— დიახ, შეიძლება რომ კიდევ შეგაწუხოთ, თუმცა კი სურვილი მაქვს ცალკე ვივაჭრო.

— რასაკვირველია, ცალკე სჯობია,—უთხრა ვაჭარმა,—მხოლოთ ისევ ჩვენთან კი იცხოვრე.

რადგანაც ბუნკიჩის სხვა სახლი არა ჰქონდა ძალა-უნებურათ დაეთანხმა ვაჭარს. მოემზადა და გასწია ოსაკისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა იგი გარეგნობით ყმაწვილსა ჰგავდა, მაგრამ გონებით კი დიდსაც არ ჩამოუვარდებოდა. როდესაც წასვლას აპირებდა, ვაჭარი დაბეჯითებით ურჩევდა კანგოში (იაპონური გეჯა) ჩამჯდარიყო იგი და იმითი წასულიყო ოსაკამდის, მაგრამ ყმაწვილი დიდ უარზედ დადგა. ბუნკიჩი ფეხით გაუდგა გზას და მიადგა ერთ მიყრუებულ ალაგას, მაგრამ ამას აქაც წარბი არ შეუხრია. იგი უკვე შეჩვეული იყო მოგზაურობას და ამ დაბრკოლებას არაფრად აგდებდა, თუმცა ეს მოგზაურობა უფრო საფრთხილო იყო და ნელა უნდა ევლო.

საღამოს, როდესაც მან ?თიან ადგილას მიაღწია, დაღალულობა იგრძნო და იძულებული იყო დაექირავებინა კანგო და იმაში ჩამჯდარიყო. კულებმა ჩასვეს თუ არა იგი კანგოში,—აჩქარებული გაექანნენ გზაზე და მალე სხვა ბილიკს გადაუხვიეს. ბუნკიჩის რაღაც ცუდი ეჭვი დაებადა და შესძახა:

— რათ მიგყევართ ამ უცნაურ გზაზედ?

ორივე კულიმ ერთხმად უპასუხა:

— ეს მოკლე გზაა და იმისთვის.

მათ ბუნკიჩი რაღაც მიუვალ მთებში შეიყვანეს. იმან გაიფიქრა, რომ ეს ის ავაზაკები არიან, რომლებიც მგზავრებსა ცარცვამენ ხოლმე. მაგრამ რას ვააწყობდა და თავი დამშვიდებულათ ეჭირა.

როცა ავაზაკები დაბურულ ტყეში შევიდნენ, კანგო ძირს ჩამოიღეს და მივიდნენ ყმაწვილის ამოსაყვანათ და ნახეს რომ მას ტკბილათა სძინავს.

ამათ გაკვირვებით ერთი-ერთმანეთს გადახედეს და სთქვეს:

— როგორ ტკბილათა სძინავს და!.. როგორი გულუბრყვილო ბავშვია... როგორღაც იგი არაფრათ აგდებს თავის სიცოცხლეს. აბა, ჩემო ბავშო, ადექი, ადექი, გაიღვიძე! და ამ თქმაზედ ერთმა მათგანმა წაჰკრა მხარში, მეორემ კი წაავლო ფეხში ხელი და ამოათრია კანგოდან.

ბუნკიჩი თვალების ფშვნეტას მოჰყვა და ერთი ოთხჯერ მაინც დაამთქნარა.

— ვინა ხართ, აბა რა გინდათ? რაშია საქმე?

ავაზაკებმა მრისხანეთ უპასუხეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაშია საქმე და იმაში, რომ შენ ბევრი ფული უნდა გქონდეს. ხომ აგრეა, სთქვი:

— დიახ, მე... მაქვს ფული, ბუნკიჩიმ ისე ცივათ უპასუხა, თითქოს აქ არაფერიაო.

ავაზაკები თან და თან რწმუნდებოდნენ, რომ მათ ერთი ვილაც დოყლაპიასთან ჰქონიათ საქმე და მისი დაძლევა ადვილი იქნებოდა. მიუბრუნდნენ მას და უთხრეს:

— ჩვენ ვიცოდით, რომ შენ გაქვს 50 თუ 60 „hi“ და აი ამისთვის მოგიყვანეთ აქ, აბა, ახლავე ყველაფერი გადმოგვილაგე და თუ ამაზედ უარს იტყვი, დიდი სასჯელი მოგელის.

ბუნკიჩიმ ხმა-მაღლა გადიხარხარა: თქვე დალოცვილებო, თუ კი ფულები გინდათ, აჰა, ამოიღო და გადაუყარა ფულები.

ავაზაკებმა რა დაინახეს ყმაწვილის ასეთი გულ-გრილობა და სიდინჯე, განცვიფრებას მიეცნენ და ერთმანეთსა ჰკითხავდნენ: ნეტა ვინ უნდა იყვეს ეს ბავშვი. ცოტა არა შეკრთნენ კიდეც და ერთმა წასჩურჩულა მეორეს: იგი მელა ხომ არ არისო?

— რა ვიცი, იქნება ეს ფულები მწვანე ფოთლებადაც გადაიქცნენ, გაისმა პასუხი და ორივემ გაკვირვებული შეჰხედეს ყმაწვილს.

ამანაც ღიმილით უთხრა:

— რა მშიშარა ქურდები ხართ, შეშინდით განა?

ბუნკიჩიმ ორიოდ ნაბიჯი წადგა წინ. ავაზაკებმა უკან დაიწიეს. რომ მხდალობა არ შეემჩნიათ სთქვეს:

— ჩვენ, ჩვენ... არ... გვეშინიან.

ბუნკიჩიმ ისარივით თვალი-თვალს გაუყარა:

— თუ არ გეშინიანთ, მაგრე რასა კანკალებთ?

— ჩვენა გვცივა და მისთვის.

— აი თქვე წუნკალა მხდალებო! აიღეთ ფული და წადით, წაეთრიეთ აქედგან.

კულებმა ერთი ერთმანეთს დაუწყეს ცქერა და ვერც ერთი მათგანი ვერა ჰბედავდა ფულის აღებას. ბუნკიჩისაც ჯიბისკენ ხელი წაელო და ხანჯალი მაგრა ეჭირა ამ ავაზაკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის გასაგმირათ, თუ კიდევ იგინი თავ-ხედათ მოექცეოდნენ მას.

ესენი სულ მთლათ თავ-ზარ დაცემულები იდგნენ და ძლივს მოახერხეს ეს სიტყვები: — გვითხარი, შენ სადაური ხარ?

— რა გნებავთ? კუმანიდგანა ვარ.

ერთს მათგანს ზაფრანას ფერი დაედო და წამოიძახა:

— რა ვქნა და... ეგ ნათელ-თევზა ბიჭი ხომ არ არის?

— აბა, სწორეთ, მე ის ბიჭი ვარ.



რა გაიგონეს ამათ ეს სიტყვა, ერთხმივ წამოიძახეს: „აბა, ჩქარა, თავს ვუშველოთ!“ და, როგორც დააბირეს წასვლა, ბუნკიჩი წინ გადაეღობა ხანჯალ ამოღებული და შესძახა: — თქვენი აქ-დან ფეხის დაძერა იქნება — თქვენი გამოფაშვა.

ყმაწვილის სიტყვებით მეხ-დაცემულები გაიშხლართენ მიწაზე და დაუწყეს ხვეწნა-სიცოცხლე მაინც შეგვარჩინეო.

ჭაბუკს ღიმილი მოსდიოდა ამ ხვეწნაზედ და უთხრა: —აბა, ეგრე რამ შეგაშინათ!

— გემუდარებით, გვაპატიო, ჩვენც ისე ნუ დაგვხოცამ, როგორც ნათელ-თევზას გამოსჭერი ყელი, ეხვეწებოდენ იმას აკანკალებული ხმით.

ამათ, როგორც ეტყობოდათ, ყველაფერი გაგონილი ჰქონდათ ამ გმირ ყმაწვილზედ და ისე გაზვიადებულათ და საშიშათ წარმოედგინათ იგი, რომ იმ წუთს შესაბრალისებიც იყვნენ. ბუნკიჩი მიჰხვდა ყველა ამას და უთხრა: „კარგი, ყველაფერს გაპატიებთ, მხოლოთ იმ პირობით, რომ დანიშნულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილამდის მიმიყვანოთ. სთქვა ეს და თავის მოკლე ხანჯალი ჩაგო ქარქაშში. ესენი სიხარულით წამოხტნენ ფეხზედ და დააპირეს შებმა გეჯაში. ფულიც აიღეს და მოწიწებით ყმაწვილს გადასცეს. ყმაწვილმა არ აიღო ფულები, მხოლოდ უბრძანა, რომ ზევით კანგოს სახურავზედ დაიწყოთ.

— გვეშინიან — ერთიც ვნახოთ ჩამოვარდეს და დაიკარგოს.

— მაშ, კარგი, და ისე მაგრა მიაკარით სადმე, რომ არსად დაიკარგოს.

კულებმა ფულებით სავსე ქისა მიაკრეს იმ ჯოხს, რომლის შემწეობითაც ატარებდნენ კანგოს. ბუნკიჩიმ არ გამოართო ფულები იმ მოსაზრებით, რომ შესაძლო იყო ვერცხლის-მოყვარეობას ავაზაკებისათვის დაეძლია და ამისთვის ამათ ევნოთ რამე; ფული კი რომ ხელთ ექნებოდათ, შესაძლო იყო, მოეტაცნათ და ამისთვის თავი დაენებებინათ.

თუმცა კი ესენი ისე შეშინებულნი იყვნენ, რომ ველარაფერს ამისთანას ვერ გაჰბედავდნენ. მათ დამშვიდებით და დიდის ამბით მიჰყავდათ ბუნკიჩი. ბუნკიჩის არ მოსწონდა ამისთანა სიჩუმე და პირველმა თითონ დაიწყო ლაპარაკი:

— მართლა თქვით, ყოველთვის ასრე იქცევით?

— არა, ეს პირველი იყო. ჩვენ შევცდით, სიარულზედ შეგატყეთ, რომ ბევრი ფული უნდა გქონოდათ.

— მე არა მჯერა. მე ვფიქრობ, რომ თქვენ ხშირათ მოქცეულხართ ასე საძაგლათ, და ამას იქით კი აღარ გაჰბედოთ ამისთანა საქმეები.

— დიახ, ახლა ჩვენ ჭკუა ვისწავლეთ და ასე აღარ მოვიქცევით.

ბუნკიჩი უკვე მივიდა სადგურამდის და გამოვიდა კანგოდან. კულებს დაპირებულზედ მეტი ფული მისცა და ერთხელ კიდევ გააფრთხილა აღარ მოქცეულიყვნენ კვლავ ასე. ფულის მიღებისთანავე იგინი სწრაფლ გაქრნენ.

ალ. ნათაძე

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ცოდნის გამარჯვება

III

ოდნა არა თუ მარტო გულის-ყურს უხსნის ადამიანს, აძლევს მას ათას გვარს სიამოვნებას, ის კაცს ამდიდრებს მატერიალურად, — აძლევს ქონებას.

მარტო ცოდნით შეუძლიან ადამიანს დაწინაურებულ ქვეყნებში მიახწიოს სხვა და სხვა დარგებში საოცარ წარმატებას და ებრძოლოს მრეწველობაში სხვა და სხვა უბედურებას. ხანდისხან ჩვენ გვგონია, რომ მათემატიკოსი ისე გართულია თავის მათემატიკაში, რომ ცხოვრებას დაშორებულია, მუდმივი კითხვები მას არ ეხება. ნამდვილათ კი სულ სხვა გამოდის. ყოველი ნაბიჯი მეცნიერებაში არის მარცვალი, თესლი, რომლისაგან ადრე თუ გვიან აღმოცენდება ადამიანისათვის რამე სასარგებლო მატერიალური შეძენა.

ყველა საოცარი მანქანები, რომელნიც ახლა მუშაობენ საუკეთესო ქარხნებში, ევროპაში და ამერიკაში, გაკეთებულია ხანგრძლივი და ბეჯითი გამოკვლევის და ანგარიშის შემდეგ. და ეს ანგარიში და გამოკვლევა შეუძლებელი იქნებოდა, რომ მეცნიერებს ევკლიდიდან დაწყებული არ ემუშავნათ სხვა და სხვა მათემატიკურ გამოკვლევებზე. ყველა ის აღმოჩენანი, რომელნიც აუმჯობესებენ ადამიანის სიცოცხლეს, ამშვენებენ მას, ჰქმნიან უვნებლათ, — არ არიან შემთხვევითი ხასიათისა. მეცნიერებმა აღმოაჩინეს ის ხანგრძლივი მუშაობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გამოკვლევის შემდეგ. ისინი შეგნებით იკვლევდნენ ამ საგნებს. რომ დავრწმუნდეთ ამაში, საკმარისია მივაქციოთ ყურადღება ამერიკელ ედისონს. ედისონს აღმოუჩენია ათასზე მეტი სხვა და სხვა გამოკვლევანი. თითოეულ გამოკვლევას ანდომებდა ბევრ მუშაობას. როდესაც ედისონი შეუდგება რაიმე საგნის გაუმჯობესობას, ის იძენს ყველა წიგნებს, რომელიც კი გამოსულა იმ კითხვის შესახებ და რომელიც ახლა მას საჭიროთ მიაჩნია. ის ხატავს ათასგვარ მანქანას; აკეთებს საცდელათ ამ მანქანებს, რომ უფრო ადვილათ მიუახლოვდეს თავის მიზანს, ის სცდის ამ მანქანას. ამ გამოკვლევებისთვის საჭირო მანქანას აკეთებენ ედისონისვე ქარხანაში, სადაც მუშაობს ოთხმოციოდე მისი თანაშემწეები. ზოგი ასეთი მანქანა, რომელნიც ღირან აუარებელი ფული და რომელზედაც ბევრი დრო მოუნდომებიათ—თვით ედისონს მარტო რამოდენიმე წუთი ესაჭიროება. მაგრამ არავითარ ხარჯს არ გაურბის, არაფრის მას არ ეშინია.

აგრეთვე მუშაობენ სხვა საუკეთესო ჩვენი დროის გამოკვლეველნი. მათი ნიადაგია მეცნიერება. მათი დიდება იმაშია, რომ შეუძლიათ გამოიყენონ ყოველგვარი ცოდნა და ამ ყოველგვარ ცოდნიდან პრაქტიკული დასკვნა. ამგვარათ მეცნიერება წინ მიუძღვის კულტურას. მეცნიერება მუშაობს ახლა ქარხნებში, მეცნიერება შველის ადამიანს უთვალავი ქონების შესაძენათ. მეცნიერება ხედავს აუარებელ განძს იქ, სადაც აქამდის ადამიანი არაფერს არა ხედავდა, ის აძლევს მას უფლებას ბუნებაზე და აჩვენებს როგორ შეუძლია ადამიანს მიიღოს მონაწილეობა ბუნების შემოქმედებითი მუშაობაში და იმითი სარგებლობა.

ჩვენ ვიცით, რამდენ „რკინის პურს“ ხმარობს დაწინაურებული ქვეყნები. მაღაროებიდან რკინა ამოდის დაუწმენდელი. ეს რკინა არ ვარგა არაფრისათვის. ის შეერთებულია სხვა და სხვა მადნეულობასთან. აქედან ადამიანმა უნდა გამოიღოს წმინდა რკინა. უწინაც იცოდა ადამიანმა ეს „რკინის გასუფთავება“, მაგრამ ეს ჯდებოდა ძვირათ და დიდი ხანიც უნდებოდა ამ საქმეს. როდესაც ქიმიამ გამოიკვლია თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდის დაიშლება ეს ნაწილები, ან რა კანონები მოქმედებენ ამ ნაწილების შეერთების დროს, მარტო მაშინ გახდა შესაძლო, ადვილი და ჩქარი „განთავისუფლება“ რკინისა ყველა ამ ნაწილებისაგან. ახლა რკინიდან შოულობენ თუჯს, ფოლადს და სხ. ქიმიამ არა თუ გაადვილა „რკინის პურის“ შოვნა, მან დაასწავლა ადამიანს იმ ნაწილებით „ბლოკით“ სარგებლობა, რომელნიც უწინ გამოუდეგარი ეგონა, ამ უვარგის ნაწილებიდან კეთდება ცემენტი.

ჩვენი დროის მრეწველები სარგებლობენ ყოველ მეცნიერულ გამოკვლევით და იყენებენ მრავალ გვარ ზღაპრულ საგნებისთვის.

ძლიერ გავრცელებულია სხვა და სხვა ფერები, რომლითაც ღებავენ არა მარტო ქსოვილებს, არამედ ფაიფურს, ხეს, ძვალს და ბევრ სხვა საგნებს. ყველა ეს ფერები შავი ფისიდან აღებულია, აი, იმ ფისიდან, რომელსაც უსვამენ ნავებს, ბორბლებს. ფისს რო ამოიღებენ დარჩება საშინელი გლახა სუნიანი ნალეკი, რომლიდანაც აკეთებენ ბევრგვარ სუნელოვან ნივთიერებას. ბევრ წამალს, რომელსაც ჩვენ ვსვამთ ყოველ დღე გაკეთებულია ამ ნალეკიდან მაგ. ფენაცეტინი, ანტიპირინი, სახარინი.

განა ეს ზღაპარი არ არის? საიდან წარმოსდგება ეს ზღაპრული თვითმოქმედება ადამიანისა? ეს გახლავთ მეცნიერების, ქიმიის ნაყოფი.

ქარხნებში მზადდება ახლა მცენარის ინდიგოს წვენი. ეს წვენი საფერავად იხმარება. ახლა სხვა და სხვა ნივთიერებიდან ქარხნებში მზადდება ძვირფასი ლალები, რომელნიც არ განირჩევიან ბუნებრივ ლალებიდან. ნახშირს აქცევენ ალმასათ. აი რას მიახწია ახლანდელმა მეცნიერებამ. მეცნიერებამ თავის შემოქმედებაში დააწინაურა თვით ბუნებაც. მეცნიერებამ მიახწია იმას, რომ შეგვძინა უთვალავი რიცხვი ახალ ნივთიერებისა, რომელიც ჯერ არც კი არის ბუნებაში. მრეწველობა ყოველ წელიწადს მდიდრდება ხუთი ათასი ახალი ნივთიერებით.

და კიდევ რას არ იზამს მომავალში მეცნიერება!

აღარ იქნება საჭირო აღარც თესვა, აღარც მკა, აღარც საქონლის დახოცვა. საჭმელი გაკეთდება ქიმიკოსების დახმარებით ქარხნებში. სად არ ააგებენ ასეთ ქარხნებს?! ამ ქარხნებში ქიმიურად მომზადდება საჭმელი და ამ რიგად მეცნიერება გაათანასწორებს ბუნებრივ უთანასწორობას, რომელიც სუფევს საზოგადოებაში. მაგრამ ასეთ გამარჯვებაზე მეცნიერება ჯერ მარტო ოცნებობს.

მეცნიერებამ ახლაც სულ შეცვალა მეურნეობა დაწინაურებულ ქვეყნებში. მეცნიერებამ შეისწავლა მცენარეები და გაიგო მათი კანონები, და აქედან მან სულ მალე შეიტყო თუ რა ნიადაგია საჭირო ამა თუ იმ მცენარისათვის, რა ზომებით მიახწევს ადამიანი კარგ მოსავალს.

სასწაული, რომელიც ღმერთმა მოუვლინა ებრაელებს უდაბნოში მათ საკვებათ, განმეორდა ჩვენ დროში, მაგრამ უფრო გასაოცრად,—ამბობს ერთი „მეცნიერთა მუშაკი“ პატრი ბონსინიორი. სადაც უწინ ქცევაზე მოდიოდა ხუთი ან ექვსი ჩარექი პური, ახლა მოდის ათი, ოცი და ოცდა ათი ჩარექი. იქ, სადაც უწინ ძლივს იკვებებოდა გამხდარი საქონელი, ახლა დაიარება უთვალავი გასუქებული საქონელი.

გერმანიაში გლეხი ხუთჯერ, ექვსჯერ მეტ მოსავალს იღებს, ვიდრე რუსის გლეხი. ბელგიაში, ინგლისში, ამერიკაში მეურნეობამ კიდევ უფრო გაიმარჯვა. იქ, სადაც რუსეთში ორ დღიურიდან იღებენ 35 ფუთს, ამერიკაში მოსავალია 350 ფუთი.

ინგლისში იშვიათი არ არის მაგალითი, როდესაც ორ დღიურზე მოსულა 740 ფუთი პური, და 5500 ფუთი კარტოფილი.

მეცნიერებმა უყურადღებოთ არ დასტოვეს საქონლის მოშენებაც, განსაკუთრებით ამერიკაში. ამერიკაში არის ისეთი სადგურები, სადაც ნასწავლი სპეციალისტები ცდილობენ გააუმჯობესონ საქონლის ჯიში. ერთი ასეთი სადგური ნიუიორკის ახლო საკუთრივ ქათმების გაუმჯობესობაზე ზრუნავს. იქ ქათმები სდებენ კვერცხებს წონით თითო გირვანქის ერთი მეოთხედს და მეტსაც. ამერიკელებმა გამოიგონეს წიწილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსაჩეკი მანქანა. ამ მანქანების საშუალებით ჩეკენ ათასობით წიწილებს ზამთარ-ზაფხულ. ყოველ დღე და წელიწადს გამოდის წიგნები, ჟურნალები და გაზეთები, რომელნიც მარტო ამ „ქათმის მრეწველობაზე“ სწერენ.

მეცნიერებამ ბევრი გაჭირება ნახა იქ, სადაც მას მოუხდა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა. როგორ უნდა დაიცვას ადამიანი ავათმყოფობისაგან? თუმცა ბევრი ავათმყოფობა ახლაც გაუგებარია, ბაგრამ ამ მხრითაც მეცნიერებამ ბევრი გააკეთა და მითი წინ წავიდა ექიმობა და მათთან ბრძოლა. პასტერი, ფრანგი მეცნიერი, იკვლევდა იმ უხილავ კაცობრიობის მტრებს, რომელნიც იწვევენ სახად ავადმყოფობას. ეს უბრალო თვალით უხილავი მტერი კარგათ სჩანს მიკროსკოპ ქვეშ. ეს გახლავთ ბაცილები. ეგენი იწვევენ სენს, როდესაც გამრავლდებიან ადამიანის სხეულში. პასტერმა შეისწავლა მათი ბუნება და გამოიძია ის საშუალებანი, რომელთაც შეუძლიათ ამ ავათმყოფობის გაჩერება. მან აღმოაჩინა, რომ იგივე ავათმყოფობის ბრამი აცრილი იმოდენად ებრძვის სხეულში გამჯდარ ავათმყოფობას, რომ სპობს მას. 2 ივნისს, 1881 წელს პასტერმა მაგალითებზე დაამტკიცა თავისი აღმოჩენა. პასტერმა 50 ცხვარში 25-ს აუცრა ჯილეხი, და 25-ს არა. რამოდენიმე დღის შემდეგ ჯილეხი გადაედვა ამ 25 აუცრელ ცხვარსაც. შეიკრიბა საზოგადოება რომ ენახათ რა მოუვიდათ ცხვრებს. აღმოჩნდა, რომ ის 25 ცხვარი, რომელთაც პასტერმა აუცრა ჯილეხი გადაურჩნენ სიკვდილს, დანარჩენი კი დაიღუპა. ამ რიგათ აცრა იცავდა ადამიანს და ავათმყოფობა არ შეეყრებოდათ... ოთხი დღის შემდეგ პასტერმა აუცრა ცოფი ერთ ყმაწვილს, რომელიც დაჰკბინა ცოფიანმა ძაღლმა. ბავშვს მოელოდა საშინელი საკვდილი, საშინელი ტანჯვა. აცრამ გადაარჩინა.

სხვა მეცნიერებმა განაგრძეს ეს დიადი საქმე ასე ბრწყინვალედ დაწყებული პასტერისაგან. აღმოაჩინეს ის შხამი, რომელიც დიფტერიტს (ყელის სენს) იწვევს, დიფტერიტი ბავშვებს ათასობით ასალმებს წუთი-სოფვლს.

ჰიგიენა გვიჩვენებს ჩვენ რა მოქმედებს ცუდად ადამიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე. რა არის საჭირო ამ ცუდ გავლენის მოსაშორებლად. ის ამბობს როგორი უნდა იყოს საჭმელი, სასმელი, როგორ უნდა ისვენებდეს ადამიანი, სად ცხოვრობდეს, როგორ ატარებდეს დროს. როგორ უნდა იყოს მოწყობილი წყლის მილები, წყლის გაყვანა სახლებში, საყასპოები. ამ რიგათ დასავლეთ ევროპის ქალაქებში ქალაქის თვით მართველობა ცდილობს უგდოს ყური ყველა ჰიგიენურ მოთხოვნილებას და ამიტომაც იქ უფრო ცოტა ხალხი კვდება სხვა და სხვა გადამდებ სენისაგან. ხოლერა, რომელიც ათასობით იმსხვერპლავს ხოლმე ჩვენში ხალხს, იმათთვის უცნობი სენია და ეძახიან „რუსის ხოლერას".

კიდევ ბევრს სასწაულს მოახდენს მეცნიერება. მეცნიერებს სრული იმედი აქვთ, რომ მოვა ის დრო, როდესაც ადამიანი მოკვდება არა ავათმყოფობისაგან. არამედ სიბერისაგან. ამ აზრისაა გამოჩენილი რუსი მეცნიერი, მეჩნიკოვი.

რა ძნელია ჩვენი სიცოცხლე იმ ბედნიერებასთან შედარებით, რომელსაც ხედავს მომავალში მეჩნიკოვი. ახლაც ადამიანს რომ შეეძლოს ცოტაოდენათ იხელმძღვანელოს მეცნიერების დარიგებით, ამოდენა უბედურებას არ გამოივლის. დედამიწაზე, მაგრამ ამას ხელს უშლის საზოგადოებრივი წესწყობილება. მეცნიერებას ნათლად აქვს გამორკვეული თუ რა ავნებს ადამიანს, რა პირობები არიან მისთვის სასიკვდილო, მაგრამ ადამიანი მაინც ცხოვრობს ასეთ პირობებში, რადგანაც სხვების შექმნა საზოგადოებას მისთვის არ შეუძლია. რა შეუძლია მეცნიერებას იქ, სადაც ადამიანი კვდება სიმშილისაგან. უთხრას, რომ ჭამა საჭიროა, უჭმელი კაცი მოკვდება! განა ეს თვითონ ადამიანმა კარგად არ იცის. უთხრას უსახლკარო ღატაკს, რომ ადამიანის ხანგრძლივ სიცოცხლისათვის საჭიროა სითბო და სხვა პირობები. განა ამ ღატაკმა ეს თვითონაც კარგად არ იცის! განა ხარბი თვალით არ შესცქერის ის მათ, ვისაც ყველა ეს პირობები შეუძლიან შეასრულოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლანდელ საზოგადოებას, როგორც თვითოეულ მის წევრს, აქვს თავისი ავათმყოფობა და როგორც ავათმყოფ ადამიანს არ შეერგება კარგი და საღი საჭმელი, ისე ავათ-მყოფ საზოგადოებას—მეცნიერება. უნდა მოარჩინოთ საზოგა-დოება მის ავათმყოფობისაგან და როდესაც ეს მოხდება, აი მაშინ იქნება მეცნიერება ნამდვილი მეგობარი ადამიანისა.

ა. ფ.

(გაგრძელება)

ედისონი თავის ფონოგრაფით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზღვის და ხმელეთის გრიგალი.

რიგალი ზღვაშიაც არის, ისე როგორც ხმელეთზედ. მაგრამ ზღვის გრიგალი მაინც უფრო საშინელი და საკვირველი მოვლენაა, ვიდრე უბრალო ხმელეთის გრიგალი.

წარმოიდგინეთ სიცხიანი დღე; ხომალდი ან ცეცხლის გემი, მიდის ოკეანეში, გადგა ხვითქი, ზღვას სძინავს, ჰაერი არ ინძრევა, მეხომალდეებმა პაპანაქებას მოარიდეს თავი, აქეთ, იქით ჩაძვრენ, ოთახებში მიიმალნენ, თვით ხომალდის უფროსმაც, ესრედ წოდებულმა კაპიტანმაც, მოისვენა თავის სადგომში, (კაიუტაში); მხოლოდღა ერთი მეორთაყვირეა, რომელიც ვერ შორდება გემს, დგას გემის ჭერზედ დარაჯად და სწორს გზაზედ მიჰყავს გემი; ხან მარჯვნით ჰხრის გემის კუდს, ხან მარცხნით. ამ დროს გამოჩნდა ცაზედ შავი წერტილი. ის უცბად იზრდება, ვადაიქცა შავ ღრუბლათ და მოიცვა მთელი ცის სიმრგვალე.

ზღვა თითქოს იღვიძებს, იმღვრევა, ბღუის, ქოთავს, ტალღები იზრდებიან, ერთგან ღრუბელი ჩამოეშვება უზარმაზარ სვეტად, ის ბრუნავს და თანაც წინ მოდის, მის პირდაპირ თვითონ ზღვაც აზვირთდება, აგორდება, ისიც ამოდის უზარმაზარ სვეტად და შეუერთდება ღრუბლის სვეტს. ეს უშველებელი წყალ ღრუბლის სვეტები გადაიბმებიან ერთმანერთზედ, გადაიხლართებიან, იწყებენ ტრიალს ციბრუტივით და უახლოვდებიან მიმავალს გემს, თითქოს უნდათ მისი დან-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგალი ზღვაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმა. მეხომალდენი გრძნობენ საშიშ მდგომარეობას. შეიქნება გემზედ დიდი ალიაქოთი. გემის უფროსი უსტვენს მეხომალდეებს, უცბათ გატენეს ზარბაზანი, და უმიზნებენ იმ უზარ-მაზარ წყალ-ღრუბლის სვეტებს, რომელიც თანდათან ტრიალით უახლოვდება გემს და ემუქრება დაღუპვას. ცოტა კიდევ და გემის უფროსმა შესძახა: „აბა ესროლეთ“. იგრიალა ზარბაზანმა, მოხვდა ყუმბარა უზარ-მაზარს წყალ-ღრუბლის სვეტსა და შუაზე გაჰკვეთა. წყლის სვეტი დაინგრა და ჩავარდა ზღვაში, ღრუბლის სვეტიც ავიდა ჰაერში და გაიფანტა. გემი გადარჩა ხიფათს.

გრიგალი ხმელეთზედაც საშინელი რამ არის, ის აქაც აკეთებს ასეთსავე სვეტებს მიწიდან ახვეტილ მტვერსა და კენჭებსა და ვაი იმ ადგილს, საცა ეს მბრუნავი ჰაერი გაივლის! ის ანგრევს სახლებს, ქვიტკირის კედლებს, ეკლესიის გუმბათებს, ამოთხრის უზარ-მაზარს ხეებს ფესვებიანა და აიტაცებს ჰაერში, 1881 წელს ბათუმში ატყდა გრიგალი და ლევან მჭედლიშვილის ეზოში ამოთხარა ოცდა ათი წლის კაკლის ხე, 1869 წელს კოსტრომის გუბერნიაში გაიარა გრიგალმა, ორ სოფელში ოცდა თექვსმეტი ზვინი თივა მოიტაცა, მესამე სოფელში მთელი წისქვილი აიტანა ჰაერში, მეოთხე სოფელში სახლები დაანგრია, ერთი ქალი მოიტაცა და შორს გაუყენა ჰაერში. ტვერის გუბერნიაში 1872 წელს ამოტყდა გრიგალი და ერთს ეკლესიას მთელი ქვითკირის გუმბათი ამოაძრო და შორს ისროლა, ტყეები გასჭრა და განიერი გზა გააკეთა.

რა მიზეზია გრიგალის ამოვარდნისა? ზოგი მეცნიერები, აბრალებენ იმ გარემოებას, როცა ორნაირი მოპირდაპირე ქარი ზღვაზე, ან ხმელეთზე ერთმანეთს დაეტაკება და როგორც თითისტარი დაატრიალო, ისე დაატრიალებს ჰაერს და ეს ჰაერიც თავის მხრით ატრიალებს ღრუბელსა და წყალს გააკეთებს უზარ-მაზარს წყალ-ღრუბელის სვეტებს, რომელთაც გადაბამს ერთმანეთზედ. სხვანი კი ფიქრობენ ვითომც ზღვის გრიგალი ჰაერის ელექტრონის ძალისაგან იყოს წარმოშდგარი.

**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძვირფას აკაკის

ულბულივით გვიგალობდი,
გულს გვაფენდი მზისა სხივებს,
გვსათუთობდი, როგორც წყარო,
ძვირფას თვალს და ძვირფას მძივებს.
  გვიფურჩქნიდი ნორჩ გონებას,
ია ვარდებს ჩვენში კრეფდი,
გვინერგავდი სითამამეს,
ჩვენის კარგით ნეტარებდი.
  ჩვენ ვიყავით შენი დიდი
მომავალი გამოცანა,
ჩვენს ზრუნვაში ატარებდი
დღე და ღამეს ყოველგანა.
  შრომა შენი უკვდავი ჰყო
ძირს მიწამ და მაღლა ცამა;
ღმერთმა დიდხანს გადღეგრძელოს
ჩვენს დიდებათ, დიდო მამა.
  შენ ბულბული, ჩვენ ბარტყები,
ვეწაფვით შენს „ტიტიას“
და გალობით ვეგებებით
შენს სურვილს და ჩვენს განთიადს.
  ვაშა, ვაშა შენს სახელსა,
პატივსა გცემს ზღვა და ხმელი....
არ მოკვდება დიდებულის
არც გვარი და არც სახელი.

შ. მღვიმელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

დასკვნა.

ამ გვარად ჩვენ უკვე გავიცანით მაიმუნთა ორივე რაზმი —უშველებელ გორილლიდან მიყოლებული ვიდრე ციყვის ოდენა, პაწია აიე-აიემდე.

ჩვენ სრულებით ვერ ვპოვეთ მაიმუნი ავსტრალიაში და ანტილის კუნძულების ჯგუფზე (ვესტინდიაში), ხოლო ევროპაში გიბრალტარზე თუ შევხვდით, ეგეც ძალად, განგებ მოუშენებიათ. ამასთანავე ადამიანის სახის მაიმუნები მხოლოდ აფრიკაში და აზიაში ვპოვეთ.

საკვირველია, აქამდე რა დაემართა, რომ ამერიკის მაიმუნებში სრულებით არ ეტყობა ევოლიუციის იმ გვარი ნიშნები, რომ აქაური უფროსი მაიმუნი ოდესმე გორილლას მაინც მიემსგავსოს — ადამიანს ვინღა ჩივის.

ყველაზე მეტად ჩვენი ყურადღება, რასაკვირველია, დაიმსახურეს ადამიანის სახის მაიმუნებმა, რისთვისაც გორილლა განგებ დაწვრილებით იყო აღწერილი. მაგრამ, გინდ ბევრი ვეცადოთ და განგებათაც გავაზვიადოთ გორილლას სხეულში ნაპოვნი ადამიანური ნიშნები,—მაინც დიდი უფსკრული ძევს, რომელზედაც ხიდი არას დროს არ გაიდება. დიდებულ დარვინის შემდეგ ამ ხიდს ბევრი მაშენებელი გამოუჩნდა მეცნიერებაში, მაგრამ ამაოდ — ხიდის საფუძველი და თვით მასალა მეტად მჩატე, ხახუტი გამოდის და მალეც იფუშება.

მსგავსებასთან რა ძრიელ სჭარბობს უმსგავსება ეს შემდეგიდანაც სჩანს:

1) გორილლას ტანი უფრო გრძელი, ფეხები მოკლე და ხელებიც უფრო გრძელი აქვს, ვიდრე ადამიანს.

2) სიარული წელში გამართვით ვერ შეუძლია, უფრო ოთხზე ემარჯვება.

3) სისხო გრძელი ხელებისა ნაკლები აქვს, ხოლო რაც შეეხება ადამიანის მშვენიერ ხელის საუცხოო მხატვრულ მოყვანილობას, გორილლას ხელი აბა, რა საკადრისია, რა შესადარებელია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

4) ფეხებით ისევე ბლუჯავს საგანს, როგორც ხელებით.

5) ტყავი მეტის მეტად აქვს ბალნით შემოსილი.

6) გორილლას თავს ვერ შეუძლიან ტანზე თავისუფლად იმოძრაოს ყველა მხრისკენ (ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ).

7) ყბები მეტად განვითარებული აქვს, ასე რომ დინგვით წინაა გამოშვერილი. მაშინ, როდესაც ადამიანის სახის კუთხე უდრის 64—80° და ევროპიელებში უფრო მეტიც, გორილლასი 30—55° უდრის.

8) კბილებთა შორის, ღოჯები მეტად დიდრონი აქვს, ისე, როგორც ყველა სხვა მტაცებელ მხეცს.

9) პაჭუა ცხვირის დგომი ნესტოებზე უფრო გრძელი აქვს.

10) ტვინის კოლოფი მეტად პატარაა და მაშასადამე ტვინიც ნაკლებათაა.

11) ამის გამო ჭკუა-გონებით გორილლა ვერც ერთს ველურ ადამიანსაც-კი ვერ შეედრება, თუ გინდ ავიღოთ მაგალითისთვის ადამიანთა უკანასკნელი წარმომაღგენელი **პაპუსი**.

12) გორილლა პირუტყვია, არა აქვს ნიჭი სიტყვის გამოთქმისა, **მეტყველებისა**.

*

საზოგადოთ მაიმუნებს არავითარი სარგებლობა არ მოაქვსთ ადამიანისთვის. ზოგან მაიმუნის ჭრელ ტყავს თუ ხმარობენ მოსართავად, აგრეთვე რომელიმე პატარა მაიმუნის ხორცს სჭამენ ამერიკის მკვიდრნი. ხოლო მათი მოშინაურება ყოვლად შეუძლებელია და სრულებითაც უსარგებლოა. თუ ერთი რამ მასხარობით გასიამოვნებს, სამაგიეროდ მთელი დღე თავს გაბეზრებს. საქმეს ვერას მიანდობ, რადგან მაიმუნი ცქრიალა ხასიათისაა და ვერას გზით ვერ შეაჩვევთ საქმეზე გული დაუდოს ზოგიერთა ხომ იქამდე უხამსი და უსირცხვილოა, რომ სახლში არც კი შეიშვება, თანაც საშიშია მაიმუნის სახლში შენახვა, იკბინება და ხშირად მომხდარა რომ პატრონი დაუგლეჯია კიდეც. ზარალი კი დიდი მოაქვსთ მაიმუნებს—აოხრებენ ბოსტნებს, ბაღებს, თავს აბეზრებენ ხალხს თავის დაურიდებლობით და სხვ. და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე რაზმი.

მხარფრთიანები. Chiroptera.

ზაფხულობით, როცა მზე ჩაესვენება და მისი სხივები უკანასკნელად-ღა ნავარდობენ ცის კამარაზე, ბინდისას იწყებს ხოლმე ახლად ცხოვრებას მთელი რაზმი შესანიშნავ ცხოველებისა, რომელთაც ჩვენ ღამურებს ვეძახით

დღისით ღამურები ემალებიან მზის სხივებს დიდი ხის ფულუროში, ცარიელ ვერანა სახლებში და ციხე-კოშკებში, კლდის ნაპრალებში და სხვა ბნელ ადგილებში. შებინდდება თუ არა, გამოდიან საჭმლის საძებნელად — მიფრინავენ და ფეხდაფეხ ნადირობენ მწერებზე; უმცირესი ნაწილი ღამურებისა იკვებება ხილით და ზოგნიც სისხლს სწოვენ. ნადირობის დროს უმთავრესად შველით მეტათ განვითარებული ყურთა სმენა და ყნოსვა, მხედველობა კი ძრიელ სუსტი აქვსთ. უშველებელი ზომია ყურის ბიბილო საშინლად უძრიელებს ყურ მახვილობას. ღამურას სულ ადვილად ესმის მცირეოდენი ჩუჩუნი: ბუზის ბზუილი, კოღოს ბზუკუნი, პეპელას ფრთების შრიალი და სხვ. მაგრამ ყველაზე ძრიელ განვითარებული აქვს ღამურას გრძნობა შეხებისა. ამისთვის აქვს საგანგებოდ გაძრიელებული ნერვებთა ქსელი ყურების ბიბილოში და საფრენად გაბანდულ კანში.

იმის დასამტკიცებლად თუ რა ზომამდე აქვს ღამურას შეხების მგრძნობიერება გაძრიელებული, ერთმა მეცნიერმა ღამურას თვალებზე ფისი გადააკრა და ოთახში გაუშვა საფრენად. ოთახის ჭერის ქვემოდ, მოძრაობის გასაძნელებლადა განგებ გახლართეს ძაფები. ეს თვალებ გაფისული ღამურები თვალ ხილულნივით, მშვენივრად ფრენავდნენ და დაძვრებოდნენ ხლართულაში, არსად არც ფრთა და არც ფეხი არ წამოუკრავთ.

ესედონად განვითარებული მგრძნობიერება ღამურას შველის ამინდის სიავ-კარგის გაგებაშიაც — ავდარში არ გამოდის სანადიროდ და მართლაც რა უნდა იშოვოს თავის საკბილო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამურა მეტ ნაწილს თავის სიცოცხლისას თავის ბნელ სამყოფელში ატარებს. აქ თავდაყირა ჰკიდია ფეხების ჭანგებით ვიდრე არ მოსშივა, ან რაიმე საფრთხეს არ იგრძნობს. ღამურას ისე რთულად აქვს ფრთები მოწყობილი, რომ თავდაყირა ჩამოკიდვა მისთვის აუცილებელია ე. ი. რა წამსაც უნდა გაშლის დაკეცილ ფრთებს, მოხსნის ფეხს და მსწრაფლ გაფრინდება. ფრთებს მოხერხებულად სცემს ჰაერს, ხოლო მიხვრა-მოხვრუნებაში ბოლო შველის. დედამიწაზედ სიარული ღამურას არ შეუძლია — საცოდავათ ფოფხავს.

ცივ ქვეყნებში ღამურას სიცოცხლე სრულებით არ შეუძლია. ამიტომაც ძრიელ გამრავლებულია ცხელ ქვეყნებში, სადაც უფრო დიდრონ ღამურებსაც შეხვდებით. ჩვენში რო ღამურები ცხოვრობენ ესენი, აცივდება თუ არა მიისწრაფიან სადმე მღვიმეებისკენ თბილ ადგილების საძებრად და აქ ბურანსა და ძილში ატარებენ მთელ ზამთარს თავდაყირა ჩამოკიდულნი. ამ მდგომარეობაში სხეულის ყოველივე მუშაობა შესუსტებულია. სისხლის ბრუნვა-მოძრაობა და სუნთქვა ნელდება, სისხლის სითბო 25° R. 4° ჩამოდის, ხოლო სასტიკ ყინვებში შეიძლება 1° ჩამოვიდეს. ასე გაფიჩხულები ჰკიდიან მთელ ზამთარს. თუ დაატყო ღამურამ რომ სა იკვდილოდ იყინება, მაშინ ილვიძებს, მოხსნის ფეხს, გაშლის ფრთებს და ცდილობს იმოძრავოს და სისხლი როგორმე გაითბოს. რაღა თქმა უნდა რო ცივ ქვეყნებში ბევრიც იყინება.

ღამურა ჰბადებს ერთს ან ორ ბღარტს, სრულებით შიშველს და ბრმას. ბღარტი დედას ჩაეკრობა ხოლმე მკერდში მაგრად, ძუძუს იდებს პირში და ასე მიკრობილს დააფრენს ღამურა თავის შვილებს, ვიდრე დაეზრდებიან.

პირველი ოჯახი.

მხარფრთიანების პირველ დიდ ჯგუფს შეადგენს მფრინავ ძაღლების ოჯახი ანუ ხილის მჭამელი ღამურები (Pteropina).

ესენი ყველანი სცხოვრობენ განსაკუთრებით ცხელ ქვეყნებში — სამხრეთ აზიაში და მის კუნძულებზე, შუაგულ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიაში და სხვ. აქაური ღამურები შედარებით უშველებელ ტანისანი არიან, რისთვისაც უწინ ცრუ მორწმუნე ხალხი ამათ აზვიადებდა, რაღაც მოჩვენებად, მაჯლაჯუნად სთვლიდა. ამ უვნებელ გულკეთილ ცხოველებ-

ში გონება დაბნელებული ხალხი ეძიებდა იმ არაწმინდა სულს, რომელიც ვითომ მძინარე კაცს აჯდებოდა და გულიდან სისხლსა სწოვდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილის მჭამელი ღამურები მაგდენად არაფრით განირჩევიან სხვა ღამურებიდან, მხოლოდ ესენი უფრო მომსხონი არიან და თავიც საამო სახით ძრიელ მიუგავთ ძაღლს ანუ მელიას. ამიტომაც ეძახიან ამათ მფრინავ მელიას ანუ მფრინავ ძაღლს. ამ გვარის ღამურებს საცხოვრებლად უყვართ ხშირი ტყე, სადაც ხილნარიც ბლომად ახლავთ. აქ ჰკიდიან ხეების ტოტებზე, ვიდრე შებინდდებოდეს და მაშინ თუ შიგ ტყეში აღარა ეგულებათ რა მიფრინავენ ბაღებისკენ და აქ აოხრებენ ხილეულობას. ძრიელ უყვართ ბანას, ლეღვი, ეურძენი. წარმოიდგინეთ, რომ რა ხილიც უკეთესად არის მომწიფებული და სურნელოვანი, მხოლოდ იმას ეტანებიან. უფრო სწუწნიან და არა ღეჭვენ. მთელი გუნდი დაედება ხოლმე რომელიმე ბაღს და გათენებამდე სულ მოსვლებამენ რაც კი მწიფე შეხვდებათ.

ამ გვარად მფრინავ ძაღლებს თუ მელიებს უფრო მეტი ზარალი მოაქვთ კაცისთვის ვიდრე სარგებლობა. ან კი რა სარგებლობა შეუძლიანთ. მართალია ზოგგან სჭამენ ამათ ხორცს. გაკეკ ამბობს, გემოთი კურდღლის ანუ ქათმის ხორცივითაო. მითომ ტყავსაც რიღაცისთვის ხმარობენო.

პირველი გვარი.

მფრინავი ძაღლები Pteropus.

ამ გვარს ეკუთვნის: 1, კოლონგი ანუ მფრინავი ძაღლი Pteropus ebulis. ყველაზე უდიდესია მთელს რაზმში. სიგძით 40 სანტიმეტრია, ხოლო გაშლილი ფრთები ადლზე მეტია. სცხოვრობს ზონდის კუნძულებზე. (იავა, სუმატრა და სხვ.). უყვარს დაბურული ხილნარი. აქ ასობით და ათასობით ისე დაკუნწყლავენ ხოლმე ხეს, რომ ტოტებიც კი აღარ უჩანთ. თუმცა ამათ საჭმელს უმთავრესად ხილი შეადგენს, მაგრამ ყოფილა ისეთი შემთხვევა რო მწერებზე და წვრილფეხა ცხოველებზედაც უნადირიათ. შარტი გვაჯერებს, მე ჩემი თვალით ვნახე საკვირველება, როდესაც მფრინავი ძაღლი დაეშვებოდა ხოლმე ფაცერზე, კლანჭებით თევზს იჭერდა და მიაფრენდა საჭმელათაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როზენბერი მოგვითხრობს: „ერთხელ შემთხვევით საფანტით დავსჭერ დედა ღამურა, ამ დროს მოშორდა დედას ძუძუს შვილი და სრიალით წამოვიდა დედამიწისკენ, მაგრამ ვიდრე ძირს დაეცემოდა, გამოქანდა დედა, ჩაჰკრა შვილს კლანჭი და ისევ ზევით აიტაცა“. აი ასეთი შვილის სიყვარული აქვსთ ამ ღამურებს.

მეორე გვარი.

ამ ოჯახის მეორე გვარის წარმომადგენელად ითვლება **ნილოსის ღამურა** Cynonycteris aegyptiacus. გავრცელებულია მთელს ეგვიპტეში და ნუბიაში. თუმცა ამბობდენ ამათ პირამიდებში უყვართ ცხოვრებაო, მაგრამ ტყუილი გამოდგა, ესენიც ისე ეტანებიან ხეებს, როგორც მფრინავი ძაღლები.

მეორე ოჯახი.

გლუცხვირა ანუ მწერიჭამია ღამურები Insectivora.

ესენი შესანიშნავნი არიან თავის გლუცხვირით და უშველებელი ყურებით, რომელნიც თან განსაკუთრებულ ხუფებითაც იხურებიან ძილის დროს ფრთის დიდ თითზე ერთი დიდი ჭანგი აქვს. იკვებებიან მწერებით, ზოგნი კი თბილ სისხლიან ცხოველების სისხლით. გავრცელებული არიან მთელს დედამიწის ზურგზე, ერიდებიან მხოლოდ ცივ ქვეყნებს, სადაც ცხოვრება არ შეუძლიანთ. ჩვენთვის დიდი სარგებლობა მოაქვთ იმითი, რომ დიდძალ მავნე მწერებს ანადგურებენ. სჭამენ განსაკუთრებით მწერებს: ღამის პეპელებს, კოღოებს, ხოჭოებს და მრავალ სხვა მავნე მწერებს.

პირველი გვარი.

დიდყურა ღამურა, Plecotus auritus, შესანიშნავია თავის დიდი ყურებით. უყვარს განმარტოებული ცხოვრება ჩვენს ახლო. ზაფხულში სადმე ჭერში ანუ ხის ფუღუროში და ზამთარში კი სარდაფებში ანუ სადმე თაღების ქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე გვარი.

ნეტოპირი ანუ ნაცრისფერი ღამურა Vespertilio murinus. ნაცარა ღამურა სცხოვრობს ძველ ქვეყნებში და დიდი სარგებლობა მოაქვს კაცისთვის, რადგან მავნე მწერებს აშორებს მინდვრის ნათესებს, ბოსტან-ბაღებს და ტყეს.

მესამე გვარი

ტყის ღამურები Vesperugo.

ამ გვარს ეკუთვნის **ადრე მფრინავი ღამურა**, ყველა ღამურაზე უკეთესად და უფრო მაღლა ფრინავს. იქამდე გაბედულია, რომ ადრე გამოდის სანადიროდ და სულაც არ ეშინიან მტაცებელ ფრინველებისა, პირიქით ეცილება კიდეც სანადიროში.

მეოთხე გვარი.

პაჭუა ღამურები Sunotus ამ გვარის წარმომადგენელია **დიდ ყურა პაჭუა ღამურა**, რომელიც ძრიელ მარდია ფრენაში და თანაც მისთვის დარიც და ავდარიც სულ ერთია, დაურიდებლად გამოდის სანადიროდ.

მესამე ოჯახი.

სისხლის მწოველი ანუ ცხვირფოთოლა ღამურები
Istiophora

მესამე ოჯახის ღამურები იმითი განირჩევიან სხვა ღამურებისაგან, რომ ცხვირზე ხორცმეტივით ყოველთვის აქვთ გადაკრული ტყავი, რომელიც უფრო ფოთოლს მოგაგონებსთ. უმთავრესად კი იმითი განირჩევიან, რომ ესენი სისხლსა სწოვენ. მეტი წილი იკვებება სისხლით, რისთვის ეტანებიან ხერხემლიან ცხოველებს. მაგალითად: ფრინველებს, მხეცებს ა-რეთვე არ ერიდება მძინარე ადამიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიილება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

ყოველდღიური საპოლიტიკო და საელიტერატურო გაზეთი

დროება

ფასი:

ერთის წლით:		ნახევრის წლით:	
თფილისში.	6 მ. 50 კ.	თფილისში.	4 მ. — კ.
საზღვარ-გარედ.	7 „	თფილისის გარედ	4 „ 50 „
საზღვარ-გარედ	12 „ — „	საზღვარ-გარედ	6 „ — „

ერთის თვით:

თფილ სში. — 75 კ. თფილის გარედ — 80 კ. საზღვარ-გარეთ 1 მ. 50 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

ფოსტის ადრესი Тифлисъ, редакція газ. „ДРОЕБА“.

მიილება ხელის მოწერა

1908 წლის

ჯეჯილზე

1410/1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

(მეთვრამეტე წელიწადი)

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: ტარებისათვის და მოზრდილ ყმაწვილებისათვის. თითო წიგნში იქნება არა ნაკლებ ოთხამდე ფურცელი, ანუ 64 გვერდი.

ჟ უ რ ნ ა ლ ი „ ჯ ე ჯ ი ლ ი“

თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ გაგზავნით 5 მ.
ნახევავრი წლით . . 2 „ ცალკე ნომერ . . . . —40 კ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ **ქუთაისში** ნილ. მღვდლიევისას და წიგნის მაღაზიას „კოლხიდა“. **ბათუმში** წიგნის მაღაზიას „მეგობარი“, **ოზურგეთში** წიგ. მაღ. „იმედი“, დაბა **ხონში** მასწ. გ. ბოკერიას, **ახალსენაკში** წიგ. მაღ. „სინათლე“, **სამტრედიაში** გ. ფოცხვერიას, **ყვირილაში** წიგ. მაღ. ალ. ბაჩეჩილაძეს, **ბაქოში** ქართ. თეატრში ი. თედეშვილს, **ჭიათურაში** ვ. მოსეშვილს.

თბილისში ხელის მოწერა მიიღება: წერა-კითხვის საზანცელარიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში: არტილერიის ქუჩა, № 5, კადეტის კორპუსის გვერდით.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

„ჯეჯილის“ სრული 16 წლის გამოცემა (რომელიც შეადგენს 140 წიგნზე მეტს), ეღირება გაგზავნით სხვადასხვა ქალაქებში 30 მ. თბილისში სასწავლებლებს, რომელნიც რედაქციიდან თითონვე წაიღებინებენ, დაეთმობათ 25 მ. ცალ ცალკე წლების „ჯეჯილები“ თითო წლისა ეღირება 2 მ.

რედ.-ამომტემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.